

მუნიციპალური გათიშვა: განმდევნელ წყალსა და მის ურბანულ ინფრასტრუქტურებზე

ნიქპილ ანანდი
ჰავერფორდის კოლეჯი, აშშ

ნიქპილ ანანდი არის ანთროპოლოგი, რომელიც დაინტერესებულია ქალაქებისა და ურბანული სივრცეების, ინფრასტრუქტურის, მოქალაქეობის, სახელმწიფო ძალაუფლებისა და კლიმატის ცვლილების საკითხებით, რასაც წყლის პოლიტიკური ეკოლოგიის შესწავლით იკვლევს.

მთარგმნელი: შოთა ფევაძე
რედაქტორი: მარიამ შალვაშვილი

აბსტრაქტი

წყალსაქაჩი ტუმბოებით, მიღებითა და ჰიდრავლიკური ცოდნით შექმნილი ინფრასტრუქტურული პრაქტიკები ურბანული მოსახლეობის მართვაში გადამწყვეტ როლს თამაშობს. ვეერდნობი რა მუშაობაში 2 წლის განმავლობაში ჩატარებულ ეთნოგრაფიულ კვლევას, ამ სტატიაში ვაჩვენებ, თუ როგორ არიან ჩრდილო გარეუბანში მცხოვრები მუსლიმი მოსახლეები მიჩნეული ქალაქის განმდევნელ მაცხოვრებლებად. განმდევნა (abjection) არა მხოლოდ სოციალური და პოლიტიკური უფლებების შეზღუდვა, არამედ ამ უფლებების მიცემაზე უარის თქმაა. ეს სტატია აჩვენებს, თუ როგორ ხდება მუსლიმი მოსახლეობა, ქალაქის ტექნოკრატებისა და ინჟინრების წინასწარგანზრახული უმოქმედობის გამო, იძულებული, ნაკლებად სასურველი წყალი მოიხმაროს და როგორ იწარმოება განმდევნის პრაქტიკა მმართველებსა და მართულებს შორის სუსტი და სადავო ინფრასტრუქტურული კავშირების განმეორებადი პროცესის მეშვეობით.

საკვანძო სიტყვები

წყალი, მოქალაქეობა, ინფრასტრუქტურა, განმდევნა, მუშაობა, ინდოეთი

შესავალი

„15 წელია ვხედავ, რომ MP-MLA (სამტატო და ფედერალური კანონმდებლები) ამბობენ „ის გიახლოვდება - წყალსადენი გიახლოვდება.“ რა შეიძლება ითქვას. მათ არ უნდათ ამ რაიონის განვითარება. ისინი მარტო იმას ადევნებენ თვალყურს, თუ როგორ შეიძლება ხმების მოგროვება. კეთილგანწყობის მოსაპოვებლად ამბობენ: „ჩვენ გვაქვს ძალაუფლება BMC-ში (მუშაობის მუნიციპალური კორპორაცია), ამიტომ ჩვენ ავაშენებთ წყლის ავზს“. ამგვარად, 10-დან 12-მდე ჭაბურღილი გაითხარა. ზოგიერთი გამოსადეგია, ზოგიერთი - არა და ჭებს რამდენიმე ადამიანი მართავს (ლოგონ კა რაჯჰაი). მაგრამ ჭის წყალი ვარჯის არ არის. ზოგიერთი ჭა ტუალეტების გვერდით მდებარეობს. შიგნით კანალიზაციის წყალი ჟონავს. არის კი ეს განვითარება?“ (Shaikh, 2008)

მე ასიფს ვესაუბრებოდი, პრემნაგარის ძველ მოსახლეს - ეს დასახლება მუშაობის ჩრდილოეთ გარეუბანებში მდებარეობს.¹ დამინახა რა, რომ სალიმთან ვატარებდი ინტერვიუს (სხვა

¹ ამ სტატიაში მე ვიყენებ ტერმინებს „დასახლება“ და „მოსახლე“ და ვშორდები იმ მნიშვნელობებს, რომლებსაც აღძრავს სიტყვები „მიყრუებული ადგილი“ და „მიყრუებული ადგილის მცხოვრები“ (იხილეთ Desai, 2003, Echanove and Srivastava, 2009; Ghannam, 2002). ერთის მხრივ, ეს უფრო ზუსტი თარგმანია სიტყვისა „ბასტი“, რომელსაც ხშირად ხმარობენ მუშაობის დასახლებების აღსაწერად. შესაბამის ენებში, ბასტიები და დასახლებები უფრო ზუსტად მიუთითებენ იმ პროცესებზე, რითაც ურბანული ნიადაგი

ინფორმანტთან მეზობელ ჩაიხანაში), ასიფი მგზნებარედ შემოუერთდა ჩვენს საუბარს დასახლებაში არსებული წყლის პრობლემების შესახებ. საკმაოდ გაღიზიანებული საუბრობდა, თუ როგორ დაიღალა პრემნაგარის მოსახლეობა მუმბაის მუნიციპალური კორპორაციის ლოდინით, თუ როდის გააუმჯობესებენ, განამტკიცებენ და გააფართოებენ წყლის ქსელს დასახლებაში. მან თქვა, რომ შტატის და ფედერალური კანონმდებლები მუნიციპალური სისტემიდან წყლის შემოყვანის საკითხში თავიანთ უმწეობას აჩვენებენ და სანაცვლოდ რაიონში ჭაბურღილის გათხრას აფინანსებენ. ერთის მხრივ, ამ ჭებმა მოსახლეებს რაღაც შვება მაინც მოუტანა, მოამარაგა რა ისინი ასე საჭირო წყლის მარაგით თანხის სანაცვლოდ. ოჯახები ფიქსირებულ თანხას იხდიან - თითო დაახლოებით 100 დოლარს - რომ მიუერთდნენ ჭების სისტემას და ასევე უწევთ ყოველთვიური გადასახადის გადახდა ჭის წყლისთვის. თუმცა, როგორც ასიფს, ასევე ბევრ სხვასაც არ სურს ჭის წყალი ისე ძალიან, როგორც გადამუშავებული მუნიციპალური წყალი. ისინი ჭის წყალს უყურებენ როგორც “ჩამორჩენილობის” ნიშანს - ისეთ წყალს, „როგორც სოფლებსა და ფერმებშია“. ასიფი ჭის წყალს აღიქვამს როგორც ბინძურს და უსუფთაოს, წყალს, რომელიც აირეკლავს ქალაქის წყლის დეპარტამენტის მიერ ამ დასახლების ბინადრების გარიყვასა და უგულვებლყოფას. თუმცა პრემნაგარის ბევრ მოსახლეს დიდი არჩევანი არ აქვს. დროთა განმავლობაში 40 წელზე მეტი ხნის წინ გაყვანილი მუნიციპალური წყლის მილები დაიჟანგა, წყალმა გაჟონა და ნელ-ნელა ამოშრა, ხოლო მუნიციპალური წყლის დეპარტამენტს მათი გამოცვლის სურვილი არ აქვს. რადგან ასიფი და სხვა მუსლიმი მოსახლეები საუბრობენ იმის შესახებ, რომ მათ აღარ შეუძლიათ მოიხმარონ თანამედროვე, დასუფთავებული, დამუშავებული მუნიციპალური წყალი, რომელზეც მათ ერთ დროს წვდომა ჰქონდათ, მე ამ სტატიაში ყურადღებას ვამახვილებ იმ მეთოდზე, რისი მეშვეობითაც ქალაქის წყლის ინფრასტრუქტურა ცხადს ხდის მუსლიმი მოსახლეების ქალაქის განდევნილ ბინადრებად წარმოების პროცესს.

პრემნაგარის მოსახლეობას ვახსიათებ როგორც განდევნილს, რათა წვლილი შევიტანო ბოლოდროინდელ კვლევაში, რომელიც აფართოებს იულია კრისტევას ფილოსოფიურ ტრაქტატს განდევნაზე. კრისტევასთვის განდევნა სხეულებრივი რეაქციაა: “ესაა ის, რაც გეზიზღება, მაგალითად, რამის გახრწნას ხედავ და რწყევა გინდება - ეს უკიდურესად ძლიერი გრძნობაა, რომელიც ერთდროულად სომატურიც და სიმბოლურიც არის; ეს, ყველაზე მეტად, ჯანყია იმ გარე საფრთხის წინააღმდეგ, რისგანაც თავის დაღწევა გასურს, მაგრამ ამასთან გგონია, რომ მისგან საფრთხე შეიძლება შიგნიდანაც მოდიოდეს“ (Kristeva, 1982). კრისტევას მსგავსად, ჯეიმს ფერგუსონი (1999) და მაიკლ მერფი (2006) აჩვენებენ, რომ განდევნა გადამწყვეტ როლს ასრულებს მოსახლეობის მართვასა და სუბიექტების ჩამოყალიბებაში. მერფი ვარაუდობს, რომ განდევნა „განსაზღვრავს სოციალური ცხოვრებისთვის უვარგის და გაუსაძლის ზონებს, რომლებიც, ყველაფრის მიუხედავად, მაინც მჭიდროდ დასახლებულია იმ ადამიანებით, რომლებიც სუბიექტის სტატუსით ვერ სარგებლობენ, თუმცა ცხოვრების გაუსაძლისი პირობებით მათი მონიშვნა საჭიროა იმისთვის, რათა შემოისაზღვროს სუბიექტის ტერიტორია“ (Murphy, 2006: 152). ანალოგიურად, აღწერს რა იმ გზებს, რომლის მეშვეობითაც საერთაშორისო ვაჭრობისა და ფინანსური სისტემის რეჟიმები აფრიკის კონტინენტის მაცხოვრებლებს „გამოთიშავენ“, ფერგუსონი მიგვითითებს, თუ როგორ ჩნდება განდევნა კაპიტალიზმის საზღვრებს გარეთ კი არა, მის წიაღში, რადგან ეს სისტემა აწარმოებს „განვითარების კარიდან უკან გაბრუნებულების რეზერვუარს, ეკონომიკურად უარყოფილების, არდაშვებულებისა და გამოთულების ნალექს“ (Ferguson, 1999: 243). განდევნა, მამასადამე, არის სოციალური და პოლიტიკური პროცესი, რისი საშუალებითაც კონკრეტული პოპულაციები სახელმწიფოსა და სხვა ინსტიტუტების ბიოპოლიტიკური ზრუნვის გარეთ განიდევნებიან იმის მიუხედავად, რომ მათ ამ სოციალური (ან პოლიტიკური) ჯგუფების ჩამოყალიბებაში ცენტრალური როლი აქვთ.

2007-2010 წლებში მუმბაიში ჩატარებულ 22 თვიან სავლელ კვლევაზე დაყრდნობით, სტატია ფოკუსირდება სახელმწიფო მოხელეების, დაქვემდებარებულ პოპულაციებსა და მათ შუამავლებს

შეიქმნა. იქ, სადაც ვიყენებ „მიკარგული ადგილის მცხოვრებს“, იმ სამართლებრივ კატეგორიაზე ან სახელმწიფო განსახლების სისტემების კლასიფიკაციაზე მივუთითებ, რითაც მიკარგული ადგილის მცხოვრებნი (და ადგილები) იცნობა.

(მუნიციპალურ სანტექნიკებს) შორის მიმდინარე განმეორებად პროცესებზე, რისი მეშვეობითაც პრემნაგარში, ჩრდილო მუშაბაის მუსლიმურ დასახლებაში, განდევნა იწარმოება. ბოლო 2 ათწლეულის განმავლობაში პრემნაგარის მცხოვრებლები მუდმივად “ეთიშებოდნენ” ქალაქის მუნიციპალურ სისტემას და ფორმალურად წყალზე წვდომა არ ჰქონდათ. როგორც ფერგუსონი აღნიშნავს, გათიშვა განსხვავდება დაუკავშირებლობისგან (Ferguson, 1999). გათიშვა არის აქტიური პროცესი, რომლის დროსაც სუბიექტები იმ სოციალური და პოლიტიკური სისტემებიდან ჩამოშორებული და განდევნილი არიან, რომელზეც ერთ დროს წვდომა და უფლება ჰქონდათ. ისინი გამოთიშულები არიან იმ პროცედურებსა და პრაქტიკებს, რომლებიც მათ ქალაქის წყლის დეპარტამენტიდან წყალზე უფლებას მისცემდა, როგორც ლეგიტიმურ მოქალაქეებს. მე ვცდილობ გავარკვიო, თუ როგორ არიან პრემნაგარის ბინადარნი იძულებულნი, დაუკავშირდნენ წყლის ქსელს ფარულად ან გამოიყენონ „ბინძური წყალი.“ წყლის ქსელთან კანონიერი მიერთებების არარსებობა და სხვა ჰიდრავლიკური ღონისძიებები მიუთითებს იმ ძლევამოსილ საშუალებებზე, რისი მეშვეობითაც პრემნაგარის მცხოვრებლები აქტიურად იწარმოებენ არა როგორც ლეგიტიმური ურბანული მოქალაქეები, არამედ როგორც ქალაქის ჰიდრავლიკური სახელმწიფოს განდევნილი ბინადრები.²

ურბანული მოქალაქეობის შესახებ არსებულმა ბოლოდროინდელმა შრომებმა აჩვენა ის გზები, რითაც ქალაქებისა და სახელმწიფოების წესები, კანონები და პოლიტიკა აწარმოებს დიფერენცირებულ, არაფორმალურ, განდევნილ პოპულაციებს (Baviskar, 2003a; Bush, 2009; Holston, 2008; McGregor, 2008; Roy, 2003). ჩემს სხვა შრომებში მე ამ ნაშრომებს ვეყრდნობი იმისთვის, რომ ვაჩვენო, თუ როგორ არიან მოსახლეები მარგინალიზებულნი ქალაქის წყლის პოლიტიკის მეშვეობით, რომელიც მათ გამოუყოფს უფრო ნაკლებ წყლის კვოტებს და ქსელთან სუსტ კავშირებს (Anand, 2011). ამასთან, წესები წყლის შესახებ მხოლოდ იმ მოსახლეებს აძლევს წყლის ქსელთან მიერთების უფლებას, რომლებსაც შეუძლიათ დაამტკიცონ, რომ დასახლებაში 1995 წლამდე ბინადრობდნენ. უცნაური არ არის, რომ წყლის არხებთან დაკავშირების უფლება სახელმწიფოს აღიარებულ მიწის უფლებას ებმება. როგორც ურბანული მოქალაქეობის მკვლევარები აღნიშნავენ, სახელმწიფო პროგრამები და პოლიტიკა ხშირად ეყრდნობა საკუთრებისა და ფლობის ბურჟუაზიულ გაგებას იმისათვის, რომ განსაზღვროს, თუ ვინ ეკუთვნის ქალაქს (Joyce, 2003) და ვინ არის განდევნის სუბიექტი (Harvey, 1996, 2008; Joyce, 2003; Smith, 1996). ეს პროცესები ჭეშმარიტად აგრძელებს ამ ჯაჭვს და გადამწყვეტი როლი აქვს ბევრი “არაღიარებული” მოქალაქისთვის ქალაქ მუშაბაიში თუ მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში (Davis, 2006).

თუმცა წყლის სიმცირე პრემნაგარის მუსლიმ მოსახლეობაში არ არის გამოწვეული ფორმალური სახელმწიფოს მიერ მათი „არაღიარებით“ და არც მათი ეკონომიკური მარგინალიზაციის შედეგია. იმ მოსახლეებსაც კი, რომლებიც დასახლებაში 1970-იანი წლებიდან ცხოვრობენ (და, შესაბამისად, „აღიარებულნი“ არიან მთავრობის მიერ), წყლის პრობლემები აქვთ. წყალთან დაკავშირებული პრობლემები არ არის იმის შედეგი, რომ ისინი მუშაბაის წყლის სისტემაზე მიერთებულნი არ არიან. პრემნაგარის ბევრ მოსახლეს ადრე ქალაქის წყლის ქსელთან ფორმალური კავშირი ჰქონდა. მათი წუხილი, ძირითადად, კონცენტრირდება იმაზე, რომ მოვლილი არ არის წყლის ის ქსელები, რომლებიც დასახლებას ემსახურება. მჭონავ წყლის მიღებს თავის დროზე ყურადღება არ მიაქცევს და მისი ამოშრობა დაუშვეს. მეტიც, უფრო ახალი (შესამაბისად ნაკლებად კანონიერი) მოსახლეები, რომლებიც მეზობლად ცხოვრობენ, კარგ წყალს იყენებენ.

ურბანული მოქალაქეობის შესახებ ლიტერატურა ქალაქში მარგინალიზაციის სტრუქტურების ასახსნელად, ძირითადად, ეყრდნობა კლასობრივ და საკუთრების შესახებ ურთიერთობებს, ამიტომ

² მუნიციპალური გათიშვის აღწერისას მე იმის წარმოჩენა არ მსურს, თითქოს პრემნაგარის მცხოვრებლები წყალს არ იღებენ. როგორც პირველი ციტატა და სტატია აჩვენებს, პრემნაგარის მცხოვრებლები წყალს სხვადასხვა გზით ღებულობენ. ფორმალური დაკავშირების არაეფექტურობაზე ფოკუსირებით, მე მინდა, ის გზები აღვწერო, რომლის მეშვეობითაც მოსახლეები ყალიბდებიან ქალაქის ფორმალური წყლის მიწოდების სისტემისთვის და მისი ინჟინრების ყურადღების მიქცევის უღირს სუბიექტებად.

რთულია ამ ლიტერატურით აიხსნას მუმბაის დასახლებაში ინფრასტრუქტურული სერვისების უჩვეულო განსხვავებულობა და ჰეტეროგენურობა. როგორ ხდება, რომ ზოგიერთ (ნაკლებ ლეგალურ) დასახლებებს აქვთ წვდომა გამოსადეგ წყალზე და სხვებს (უფრო ძველ) დასახლებებს პრობლემები აქვთ წყლის სერვისებთან დაკავშირებით? ამ სტატიაში სახელმწიფოს ყოველდღიურ პრაქტიკებსა და განდევნის პროცედურებზე ვფოკუსირდები იმისათვის, რომ ეს განსხვავებები ავხსნა. ამგვარად, მე არა მხოლოდ იმ საშუალებებზე მივუთითებ, რითაც საჯარო ინფრასტრუქტურის ტექნოპოლიტიკური მენეჯმენტი გადამწყვეტ როლს თამაშობს ურბანული მოქალაქეობისთვის დამახასიათებელი სიკეთეებიდან კონკრეტული მცხოვრებლების გამოთიშვის პროცესში, მე ასევე მსურს ვაჩვენო, თუ როგორი არასტაბილური და შექცევადია მოქალაქეობა და უფლებები და მუდმივად საჭიროებს მატერიალური, სოციალური და პოლიტიკური საქმიანობით გამტკიცებას.

ინფრასტრუქტურული პრაქტიკები, რომელიც წყალსაქაჩი ტუმბოების, მილებისა და სარქველების მოწყობის მეშვეობით იქმნება, მნიშვნელოვან როლს თამაშობს იმ პოლიტიკური და სოციალური ურთიერთობების ნათელსაყოფად, რომელიც ქალაქს შეადგენს (Gandy, 2004; McFarlane and Rutherford, 2008; Star, 1999). ეს პრაქტიკები წარმოადგენს და აყალიბებს კონკრეტულ სამეზობლოში მცხოვრებთა იდენტობებს (Kooy and Bakker, 2008). რადგან პრემნაგარის განდევნილ მცხოვრებლებს არც მაღალი კლასის მობინადრეთა მსგავსი სამართლებრივი უფლებები აქვთ (Holston and Appadurai, 1996) და არც ახლომდებარე დასახლებაში მცხოვრებთა მსგავსი „ამომრჩეველთა მობილიზაციისთვის დამახასიათებელი სტრატეგიული ბერკეტები“ (Chatterjee, 2008a: 61), მათ საკუთარი სიცოცხლის შესანარჩუნებლად აუცილებელი წყალგაყვანილობის მიღმა „სხვა სახის კავშირებისა და პრაქტიკების“ (Murphy, 2006: 157) მობილიზირება უნდა მოახერხონ. იმისათვის, რომ ქალაქში ცხოვრება შეძლონ, მათ დიდი საფასურის გადახდა უწევთ სანტექნიკებისთვის, რათა ხელოსნებმა მოსახლეები ან მუნიციპალურ სისტემასთან დაკავშირონ არალეგალურად ან კიდევ ჭის წყლის ქსელთან. ეს, მერფის ტერმინოლოგიით, ქმნის „მჭიდროდ დასახლებულ „იმ ადგილს“ „აქაურობის“ ფარგლებში.“

წყლის ქსელთან „სხვა“ საშუალებებით მიერთების გამო, რომლებიც პრემნაგარში მრავლად გვხვდება, მუმბაის ჰიდრავლიკური ინჟინრები პრემნაგარის ბინადრებს ხედავენ როგორც „არაკეთილშობილებს,“ რომლებიც არ არიან ჰიდრავლიკური მოქალაქეობის ღირსები. ისინი მოსახლეებს ხედავენ როგორც ბინძურებს, უსიამოვნოს და ქალაქის წყლის სისტემისთვის თუ, უფრო ზოგადად, ქალაქის სიცოცხლისუნარიანობისთვის საშიშებს. მუმბაის წყლის სისტემის საშუალებით წარმოებული განდევნა არც უმცირებს და არც ისტორიის დავიწყებას არ საჭიროებს და არც შორი დისტანციიდან მართვის შედეგია (იხილეთ Rose and Miller, 1992; Scott, 1998). რადგანაც ქალაქის ინჟინრებს პრემნაგარის პოპულაციასთან და მის შორიანხლოს მუშაობა უწევთ, მე მინდა ვივარაუდო, რომ განდევნა დიალექტიკური პროცესია და ღრმად გამჯდარი დისკურსული ურთიერთობებიდან და მატერიალური პრაქტიკებიდან არის ნაწარმოები, სადაც განსხვავებულობა მუდმივად კვლავწარმოებული, განმტკიცებული და წინ წამოწეულია იმ ადამიანებს შორის, ვისაც ღრმად თანმხვედრი სოციალური ისტორია აქვთ. გადამწყვეტია, რომ ეს განსხვავებები კვლავწარმოებული და ცხადყოფილი არის ურბანული ინფრასტრუქტურის მენეჯმენტისა და წარმოების საშუალებით.

რთული უბნები

რთულია, ანდჰერის მზარდ საინფორმაციო ტექნოლოგიურ ცენტრებისა და გორეგაონის უფრო მეტად აღიარებული საშუალო კლასის საცხოვრებელ ანკლავებს შორის მოთავსებული ჯოგეშვარი მუმბაის რუკაზე იპოვოთ. 2007-2008 წლებში, სავლელ სამუშაოების ჩატარებისას, მცხოვრებლები მეუბნებოდნენ თუ როგორ ახდენენ ჯოგეშვარიში ახალი საცხოვრებელი მშენებლობები საკუთარი თავის რეკლამირებას, თითქოს ისინი ანდჰერიში იყვნენ განთავსებულნი. „არც ერთ hi-fi ადამიანს არ სურს ჯოგეშვარიში ცხოვრება,“ მითხრა ჯოგეშვარის მცხოვრებმა კამლემმა.“ ეს „შავი უბანია,“ ბანკები სესხს არ მოგცემენ თუ იქ ცხოვრობ“ თქვა მან. რთულია სახელმწიფო საიდენტიფიკაციო საბუთის მიღებაც, როგორცაა პასპორტი, ლიცენზია ან

ნებისმიერი დოკუმენტი სახელმწიფო ორგანოებიდან, თუ მისამართში მითითებული გაქვს ჯოგეშვარი - ხშირად ჩივიან ხოლმე მაცხოვრებლები.

თუ ჯოგეშვარი „სახელგანთქმულია,“ როგორც ამას ზოგიერთი მაცხოვრებელი ამტკიცებს, ეს იმ მიზეზით კი არ არის, რომ მის მოსახლეებს ურბანულ სერვისებზე წვდომის შესაძლებლობა აქვთ, არამედ ერთ დროს ქალაქის განაპირა კიდეებზე ლოკალიზებული ჯოგეშვარი პერიოდულად ჩნდებოდა გაზეთების პირველ გვერდებზე, როგორც რელიგიური ძალადობის ადგილი; ყველაზე ცნობილი 1992 წელი იყო, როცა პრესამ ეს ადგილი წარმოაჩინა, როგორც მუსლიმების მიმართ გამორჩეულად ძლიერი ძალადობის ადგილი, რომელიც ინდუსი ფუნდამენტალისტების მიერ ბაბრი მეჩეთის დანგრევას მოჰყვა... ძალადობაში გარეულნი იყვნენ მემარჯვენე - შივ სენას ინდუსტური პარტიის ლიდერები (Hansen, 2001; Srikrishna Commission, 1998). შემდგომ, სიმშვიდის პერიოდში ქალაქის ბევრ დასახლებაში, მათ შორის ჯოგეშვარში, ინდუს და მუსლიმ მოსახლეებს შორის საზღვრები უფრო მკაცრად შემოიფარგლა, როცა თითოეულმა მხარემ იმ რაიონში გადაინაცვლა, სადაც ისინი დიდი კონცენტრაციით იყვნენ წარმოდგენილები (Sharma, 2000). პრემნაგარი უფრო მჭიდრო მუსლიმურ “ჯიბედ” იქცა და ის ახლა შემოსაზღვრულია ინდუსტური ბასტიებით (დასახლებებით), რომელთა მაცხოვრებლებიც მხარს შივ სენას უჭერენ. ეს ის პოლიტიკური პარტიაა, რომელიც ბოლო 2 ათწლეულია ქალაქის მთავრობას წარმოადგენს.³

სხვა ნაშრომებში მე ღრმად შევისწავლე ქალაქის წყლით მომარაგების ყოველდღიური პოლიტიკა, როცა აღვწერე თუ როგორ მოხერხეს იმ მოსახლეებმა, რომლებიც კონკრეტულად შივ სენას უჭერდა მხარს, მატერიალური ინფრასტრუქტურის ხარისხის გაუმჯობესება სახელმწიფო სერვისებზე პრეტენზიის გამოთქმის საშუალებით და მათ მიერ არჩეული მფარველი პოლიტიკოსების მეშვეობით (Anand, 2011). მე ვამტკიცებ, რომ მათ ამ მასშტაბებით ამ ყველაფრის მიღწევა ხმის მიცემისა და პროტესტის დემოკრატიული პრაქტიკების საშუალებით მოახერხეს. ჯამში, ქალაქის ბევრი მოსახლისთვის ამ პრაქტიკებმა ჩამოაყალიბა არასტაბილური, თუმცა არსებითი მოქალაქეობის ხარისხი (იხილეთ Chatterjee, 2004, Gupta and Sharma, 2006; Hansen, 2001). მუმბაის მოსახლეების დიდი ნაწილი წყლის სერვისების მიწოდებას მათი არჩეული ოფიციალური პირების ერთ-ერთ უმთავრეს პასუხისმგებლობად მიიჩნევს, ქალაქის რამდენიმე ნაწილის მოსახლეებმა აიძულეს მათი არჩეული წარმომადგენლები, სახსრები გაეღოთ და ზეწოლა ჰქონოდათ ქალაქის ადმინისტრაციაზე, რომ მაცხოვრებლებს წყალზე წვდომა შეძლებოდათ.⁴ თუმცა ერთ-ერთი დასახლება, სადაც ეს ვერ მოხერხდა არის პრემნაგარი, რომლის წყლის ქსელი დროთა განმავლობაში, ნელ-ნელა ინგრეოდა, რაც მის მაცხოვრებლებს კონკრეტულ სირთულეებს უქმნის.

რაიონი, რომელსაც მაცხოვრებელთა უმრავლესობა პრემნაგარს უწოდებს, მუნიციპალურ რუკებზე იკითხება, როგორც „თვითნებური მოსახლეების კოლონია“. 1950-60-იან წლებში ეს არეალი გახდა იმათი ძირითადი განსახლების ადგილი, ვინც ქალაქის ცენტრალური რაიონებიდან

³ რა თქმა უნდა, რადგან ესენი მჭიდროდ დასახლებული პუნქტებია, პრემნაგარი და მისი მოსაზღვრე მეგჰვადის, ჯანატას კოლონიის და ჰარი ნაგარის დასახლებები მრავალფეროვანია, ამ უბნებში მრავლად არიან სხვადასხვა რწმენისა და ქვეყნის სხვადასხვა ნაწილიდან (მათ შორის მუმბაიდანაც) ჩამოსული ადამიანები.

⁴ Indian Express-ის ბოლოდროინდელი სტატია ადგილობრივი არეალის განვითარების ფინანსების ხარჯვის შესახებ დეტალურად აღწერს, თუ როგორ ახდენდნენ ზეწოლას ქალაქის, შტატის და ფედერალური კანონმდებლებზე მათი ამომრჩევლები, რათა არჩეულ პირებს წყლის გაყვანილობებში ინვესტიცია ჩაედოთ. მაგალითად, პარლამენტის წევრი აღნიშნავს: „მე ვისურვებდი ჩემი ფინანსების დახარჯვას ბიბლიოთეკების დაფუძნებისთვის, სკოლებისთვის კომპიუტერების შესყიდვისთვის, კოლეჯებისთვის ლაბორატორიების აშენებისთვის და სხვა საკეთილდღეო აქტივობებისთვის, რომელსაც (წევრები) ძირითადად არ ამჩნევენ. მოთხოვნების 90 პროცენტი, როგორც წესი, სადრენაჟო მიწებისა და წყლის გაყვანილობას ეხება“ (Indian Express, 2011).

გადმოსახლეს. ზრდადი ქალაქის სხვადასხვა ნაწილში მათი სახლების მიწასთან გასწორების შემდეგ მუნიციპალურმა კორპორაციამ იძულებით გადაადგილებულ პირებს პრემნაგარში მიწის მცირე ნაკვეთები გამოუყო. ეს ადგილი მაშინ ჯერ კიდევ ქალაქის კიდეში მდებარეობდა. სამეზობლოების სახელები - ბანდრა პლოტი, კოლაბა პლოტი, ანდჰერი პლოტი - ის რაიონებია, საიდანაც ისინი თავის დროზე იყვნენ გადმოსახლებულნი.

„განვითარების სხვადასხვა სქემის მიხედვით, მათ შორის 1956 წლის გადატაკებული რაიონების გაწმენდის სქემაზე დაყრდნობით, მუმბაის სამხრეთ და ცენტრალური რაიონებიდან ჯანატას მოახალშენეთა კოლონიაში, 15-20 ფუტის სიდიდის მიწებზე 1,957 ოჯახი გადაასახლეს. მიუხედავად ადგილმდებარეობისა, რადგან ეს ადგილი მომორებული და განუვითარებელი იყო, ჯანატას მოახალშენეთა კოლონიაში მიწა ფასეული და ხშირად მუმბაის ცენტრთან ახლოს მყოფ დასახლებებზე უფრო სასურველი იყო, რადგან მას წვდომა ჰქონდა უნიკალურ ბუნებრივ წყალზე.“ (Kothari and Contractor, 1999)

მუნიციპალურმა კორპორაციამ გამოსახლებულებს “ვაკანტური მიწის იჯარის” დოკუმენტები გადასცა და ნება მისცა მათთვის გამოყოფილ ადგილებზე თავინთი ნაგებობები აეშენებინათ. პირველ ჯერზე მოახალშენეთა კოლონიაში პირობები ქალაქის სხვა დასახლებებზე უკეთესი იყო. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ჯერ ერთი, მაცხოვრებლები კანონით იყვნენ დაცული და მეორეც, რაიონს სისტემატური წვდომა ჰქონდა როგორც მიწიდან ამომავალ, ასევე ქალაქის მზარდი წყლის ქსელის წყალზე. პრემნაგარი სწრაფად გაიზარდა. იმისათვის, რომ დამატებითი შემოსავალის წყარო მიეღოთ, იჯარის დოკუმენტაციის მფლობელებმა თავიანთი სახლების გაფართოება დაიწყეს მეიჯარეების მისაღებად, გააფართოვეს რა თავიანთი ნაგებობები იმ მოუნიშნავ ადგილებზე, რომლებიც ესაზღვრებოდა მათთვის გამოყოფილ ნაკვეთს. შესაბამისად, იმ გამოსახლებულებმა, რომლებიც სახელმწიფოს მეიჯარეები გახდნენ, გამოიყენეს მათი ლეგალური სტატუსი იმისათვის, რომ აეგოთ დამატებითი სახლები სხვა ქვემოიჯარეებისთვის და დროის შედარებით მცირე მონაკვეთში ისინი მესაკუთრეებად იქნენ იჯარის საიმედო შემოსავლების წყალობით.

ადრეულ 1970-იან წლებში მთავრობამ მიიღო მაჰარაშტას ლატაკი უბნების გასაუმჯობესებელი აქტი, რისი მეშვეობითაც ქალაქის მთავრობებს დაევალებათ წყლის მიწოდება მათთვის, ვინც ლატაკ უბნებად აღიარებულ რაიონებში ცხოვრობდნენ. მაშინ, როცა პრემნაგარის დიდ ნაწილს, როგორც სახელმწიფო განსახლების რაიონს, უკვე ჰქონდა წყლის ქსელი (აშენებული ადრეულ 1950-იან წლებში; Kothari and Contractor, 1999), რაიონის შიგნით არსებული სხვა, გვიან წლებში მიმატებული სახლები მუნიციპალურ სერვისებზე უფლების მქონე ამ აქტის მეშვეობით გახდა. ამ დროის განმავლობაში პრემნაგარის ბევრი მაცხოვრებელი, რომლებიც ქალაქის წყლის წყლის რეზერვუარებთან ახლოს სახლობდნენ, ქალაქის ჰიდრავლიკურ სისტემას მიუერთდა. პრემნაგარის, როგორც ლატაკ უბნად აღიარებული რაიონის მოსახლეებისთვის, ახალი კანონის გამო, ქალაქის წყლის დეპარტამენტმა საჯარო წყლის დაწნევეთი მილების რაოდენობა ათეულობით ერთეულით გაზარდა. 1980-იანების შუა წლებში მუნიციპალურმა ადმინისტრაციამ წყლის გაყვანილობებთან კავშირი კიდევ უფრო მეტად გააფართოვა: საჯარო დაწნევეთი მილების გაყვანიდან დაწყებული ლატაკი უბნების ბინადრების „საცხოვრებელი ამხანაგობების“ რეგისტრაციით დამთავრებული.⁵ თუმცა, რადგანაც ამ დროის განმავლობაში მეზობელი დასახლებებიც სწრაფად იზრდებოდა, პრემნაგარის ბინადრებმა წყლის პრობლემები მალევე იგრძნეს, ეს პრობლემები ამჟამად კიდევ უფრო მძაფრია.

⁵ აღიარებულ ბინადრებს (რასაც პრემნაგარში მცხოვრებლები წარმოადგენენ), შეუძლიათ მათ (დაახლოებით 12) მეზობლებთან ერთად სახელმწიფო საბინაო ორგანოში დაარეგისტრირონ კოოპერატიული საცხოვრისის ამხანაგობები. ეს “ამხანაგობები” შემდეგ შეიძლება პირდაპირ მიუერთდეს ქალაქის წყალგაყვანილობას და გადასახადები ქალაქის მთავრობიდან სუბსიდირებულ ფასებში გადაიხადოს.

ახლანდელი მუნიციპალური წყლის გრაფიკის მიხედვით, პრემნაგარის ბინადრები იძლებულნი არიან, დილის 4:30-დან 5:00 საათამდე გაიღვიძონ და მათი დღიური წყლის მარაგი შეავსონ. ერთ დილას პრემნაგარში წავედი ჩემს მეგობართან სალიმთან დროის გასატარებლად, სანამ ის წყალს ავსებდა. ადრე იყო, დაახლოებით 4:30 საათი. მზე ჯერ არ ამოსულიყო და ქუჩის განათებები გზებს ანათებდა. დასახლების მოციმციმე პოლიციის განყოფილების პოსტერიდან განდი გვილიმოდა. ვიწრო ქუჩის მეორე მხარეს ჩუმი ფიგურები წინ და უკან მოძრაობდნენ, ჯერ კიდევ ძილბურანში მყოფები. სალიმს ეღვიძა, სახლის გარეთ მელოდებოდა. ჯერ კიდევ ნამძინარევა ვკითხე, თუ რატომ არ შეავსო წყალი უფრო მოგვიანებით, ასე, 7 საათზე, წყლის წასვლამდე. მიპასუხა, რომ მაგ დროს წყლის აღება რთულ საქმეს წარმოადგენს, რადგან დაბლობებზე მცხოვრები ხალხი იღვიძებს და ონკანებს ადებს.

ჩვენი რიგის მოსვლის ლოდინისას სალიმმა დამანახა კაცი, რომელიც მას წყლის ქსელთან 15 წუთით დააკავშირებდა. აბდული გამხდარი, ჯინსებსა და ჟილეტში გამოწყობილი კაცი, ჩვენ გარშემო ყველაზე სწრაფად მოძრაობდა წინ და უკან. სულ რაღაცას საქმიანობდა, რიგრიგობით აერთებდა და თიშავდა პლასტმასის მილებს, რომლებიც სხვადასხვა სახლში მიემართებოდა. „სალიმ-ბჰაი, მილთან 10-15 წუთში დაგაკავშირებ, კარგი?“ თქვა მან დამაიძებლად.

სალიმი დასახლებაში ერთ-ერთ ყველაზე დიდ სახლში ცხოვრობდა, სადაც მას 5-6 ხელოსანი დაექირავებინა, რომლებიც საექსპორტო ბაზრებისათვის ზარის (მოქარგულ ტანსაცმელს) ამზადებდნენ. რადგან მას ქლაქშიც და სხვა რეგიონებშიც - მთელი ქვეყნის მასშტაბით - ბევრი ნათესავი და დიდი ოჯახი ჰყავდა, სალიმის პასუხისმგებლობა იყო შრომისა და ტანსაცმლისთვის აუცილებელი ნედლი მასალის მობილიზება, რათა ქსოვილები კუვეითში გაეზავნა, სადაც სალიმის ბიძა მათ ქალების ქსოვილის მაღაზიებში გაყიდდა. მიუხედავად იმისა, რომ დასახლებაში ერთ-ერთ ყველაზე დიდ სახლში ცხოვრობდა, სალიმის ოჯახს მაინც უწევდა წყალგაყვანილობის გაზიარება 5 სხვა ოჯახთან. ყოველ დღით, აბდული ამ სახლებს შორის წყლის დანაწილებას ხელმძღვანელობს, მყისიერად გადაადგილებს მილებს მას შემდეგ რაც თითოეული სახლი წყალს მიიღებს. სანაცვლოდ, ოჯახები აბდულს „უფასო წყალს“ ამოევენ.

ტუმბო-მილების მოწყობილობა, რომლიდანაც სალიმმა წყალი მიიღო, გზის მეორე მხარეს, მისი სახლიდან 30 მეტრში იწყება. ჩვენ პლასტმასის მილებს დაბლა ჩავუყევით საწყის წერტილამდე, რაც იატაკქვეშა მიერთებას წარმოადგენს და მას მთავარ მილებთან აკავშირებს, რომელიც გზის ცალ მხარეს მდებარეობს და წლის მთავარ მილს ქვაფენილის ქვეშ უერთდება. წყალი იშვიათად ადის ამ წერტილზე მაღლა - მითხრა მან. ამიტომ ამ ადგილას მილს ნახვრეტი გაუკეთეს და დროებითი მილები და ტუმბოები გამოიყენეს, რათა წყალი წყლის ჩართვის დროს მათი სახლების რეზერვუარებამდე მიეტანათ. ნამდვილად, ირგვლივ როცა მიმოვიხედე, შევამჩნიე, რომ რამდენიმე გველებივით დაკლაკნილი მილი გორაკიდან ქვემოთ ეშვებოდა და გზის ქვეშ უჩინარდებოდა.

დასახლებაში, მათი კლასობრივი პოზიციის გამო, სალიმი იყო პასუხისმგებელი სახლის წყლით მომარაგებაზე და არა ქალები. ამ ოჯახის ქალებისთვის შეუსაბამოა სახლის გარეთ მუშაობა - ასე ამიხსნა მან. ქუჩის გადაღმა მივაპყრეთ მზერა, სხვა გახვრეტილი მილისკენ. განსხვავებით სალიმ-ბჰაის გაყვანილობისგან, რომლის მილებსაც ტუმბოებიდან წყალი სახლის რეზერვუარებში მიჰქონდათ, აქ ათობით ქალი იდგა რიგში ჰანდასებით (ჭურჭლით) თავად ტუმბოდან წყლის შესავსებად. როგორც გავიგე, ეს საქველმოქმედო ტუმბო იყო, რომელსაც ადგილობრივი ბინადრები ღარიბი ოჯახებისთვის უზრუნველყოფდნენ. რიგის მიხედვით, თითოეული ქალი ავსებდა და სახლში მიჰქონდა ჭურჭელი და შემდეგ უკან ბრუნდებოდა დამატებითი წყლის ასავსებად. ღარიბ ოჯახებში ქალები წარმოადგენდნენ იმ წევრებს, რომლებსაც ფიზიკური შრომით სახლში წყალი უნდა მოეტანათ, რაც კარგად მიუთითებს იმ გზებზე, რომელშიც გენდერისა და კლასის ინტერპელაცია წყლის შეგროვების ყოველდღიურ სამუშაოებში აისახება.

როცა სალიმის სახლში დავბრუნდით, აბდულისგან გავიგეთ, რომ სალიმის ჯერი მოსულიყო. ძრავები ხმაურობდნენ. ცოტა ხანში სალიმმა წყლის მილი აიღო და ახლა ის სხვა მილს მიუერთა, რისი საშუალებითაც წყალი სახლის შიგნით, რეზერვუარისკენ მიმართა. საკმაოდ გაკვირვებული ვიყავი იმით, თუ როგორ მუშაობდა წყლის სისტემა. ის ერთდროულად იყო მხედველობის

არელიდან მოფარებული (დღის დანარჩენ მონაკვეთებში) და მაინც, საკმაოდ ადვილად მისაწვდომი იყო. ქალაქში არის წყალი. მაგრამ ზოგიერთისთვის (რელიგიით, ასაკით, გენდერით და კლასობრივი სხვაობით მონიშნულთათვის) მისი მიღება ერთმნიშვნელოვნად უფრო მეტ შრომას მოითხოვს.

მიუხედავად ამისა, შესამჩნევი იყო, რომ ქუჩაში რიგში მდგომი ქალებისათვის წყლის წნევა არასაკმარისია. ასევე ცხადი იყო, რომ სალიმის შედარებით შეძლებული ოჯახიც, ქალაქის მიღებიდან წყლის მიღებისთვის, სიძნელეებს აწყდებოდა. ამგვარად, მართალია, წყლის სისტემა სამეზობლოს შიგნით ბინადრების დიფერენცირებას ახდენდა, მაგრამ მე ასევე მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ის მატერიალიზებულია მაცხოვრებლების გაზიარებული გამოცდილებების გარშემო, რომელსაც წყლის ქსელის პრობლემები იწვევს. მქონავი მიღები, დაბალი წნევის წყალი და დასახლების შედარებით მეტი სიმაღლე წყალზე წვდომას ერთნაირად რთულს ხდიდა ყველა ბინადარისთვის, მიუხედავად მათი კლასობრივი პოზიციისა. შესაბამისად, დასახლების ყველა მცხოვრები იძულებული ხდებოდა, შეექმნა სხვა საშუალებები დღიური საჭიროების წყლის მარაგის შესავსებად. პრემნაგარის ბევრ მცხოვრებს წყლის მისაღებად ესაჭიროებოდა მიღებზე არალეგალური მიერთებების მოწყობა კიდევ უფრო შორს მცხოვრები სანტექნიკების დახმარებით და იძულებულები იყვნენ, სხვადასხვა ტუმბოები და პლასტმასის მიღები ყოველდღიურად, დილაობით საკუთარი რეზერვუარებისთვის მიემარებინათ.⁶

რადგან პრემნაგარის მცხოვრებლები წყლის არასტაბილური მიწოდების სუბიექტები არიან, იმათი უმეტესობა, ვისაც მე გავესაუბრე, მიღებისა და ტუმბოების ქსელის უჩვეულო დიზაინით აღფრთოვანებული ნამდვილად არ არის. მათ სურვილი აქვთ, მომარაგებულები იყვნენ საიმედო, დამუშავებული წყლით, წუხილს გამოთქვამენ წყლის ქსელის ცუდ მდგომარეობასთან დაკავშირებით და სურთ, ქალაქის წყლის დეპარტამენტმა სასწრაფოდ შეასრულოს წყლის ხარისხის გასაუმჯობესებელი სამუშაოები. ისინი წუხან არასაიმედო წყლის გაყვანილობებზე, რომლებიც მათი სახლებიდან მოშორებით, ტუმბოებითა და მიღებით იმართება, რაც არა მარტო დასაყენებლად არის ძვირი, არამედ ასევე ძვირია შესანახად.

სოციალური ინჟინერია

მიუხედავად იმისა, რომ მუმბაის მუნიციპალური კორპორაციის ინჟინრებმა იცოდნენ პრემნაგარის ბინადრების წყლის პრობლემის შესახებ, ამ ადგილას ისინი ბევრ სამუშაოს არ წევდნენ. ამით იმას კი არ ვაშობ, რომ ისინი ქალაქის უბნებში უსაქმურად იყვნენ, რადგან, სინამდვილეში, მათი შესასრულებელი სამუშაოს სია - ტელეფონებსა და მცირე წიგნაკებში რომ ჩაეწერათ - ყოველთვის გრძელი იყო და ამიტომ ისინი მუდმივად დაკავებულები იყვნენ და ხშირად დიდი დატვირთვით მუშაობდნენ. უბრალოდ ისინი პრემნაგარში არ მუშაობდნენ. პრემნაგარის ჰიდრაულიკური სამუშაოები მუდმივად გამოტოვებული იყო მუმბაის მუნიციპალური კორპორაციის სამუშაო გეგმებიდან. მე თვალი მივადევნე იმ გზებს, როგორც მუშაობდნენ ქალაქის წყლის დეპარტამენტის ინჟინრები, განსაკუთრებით ყურადღებით დავაკვირდი იმ მეთოდებს, რომლითაც ისინი ლეგიტიმურ საჩივრებს ნაკლებ სასწრაფოსგან განარჩევდნენ.

⁶ ალბათ, ჩემი საკუთარი ინტერესების გამო, ხშირად ვესაუბრებოდი პრემნაგარში მოსახლეებს მათი წყლის მომარაგების დროებით ხასიათზე. უყვარდათ კი მათ დილით ასე ადრე ადგომა წყლის შესავსებად? დღის სხვა მონაკვეთში ხომ არ ერჩივნათ წყლის ავსება? მიღებული პასუხები ხანდახან მოულოდნელი იყო და მიუთითებდა იმაზე, თუ როგორ იყო ადამიანების რუტინა წყლის დროზე მორგებული. ზოგი იმაზე საუბრობდა, თუ როგორ აგროვებდნენ წყალს უფრო სწრაფად დილაობით - პჰატ-ა-პჰატ. მოითავებდნენ ხოლმე ამ საქმეს და შეეძლოთ სამუშაო დღე წყვეტის გარეშე გაეგრძელებინათ. სხვებმა თქვეს, რომ დილაადრიან წყლის შევსებით ისინი უფრო ნაკლებად ჩხუბოდნენ წყლის გამო.

მაგალითად, რანე, რომელიც ადმინისტრაციული რაიონის ოფისის 3 ქვე-ინჟინრიდან ერთ-ერთი იყო, მართავდა ადმინისტრაციულ რაიონს მილიონზე მეტი მოსახლით და ვალდებული იყო, სამუშაო დღის განმავლობაში მიღებული დიდი რაოდენობით სარჩელები დაეხარისხებინა. ამავდროულად, ყოველდღიურად ის ვალდებული იყო, ეზრუნა დიდი მოცულობის მიღების გაჟონვის აღსაკვეთად, მიეღო საბჭოს წევრების საჩივრები წყლის ხარისხთან დაკავშირებით, დასწრებოდა ადმინისტრაციულ შეხვედრებს სათაო მუნიციპალურ ოფისში და გადაეხედა დაუსრულებელი რიგში მყოფ სანტექნიკთა და პოლიტიკოსთა აპლიკაციებს ახალი გაყვანილობების შესახებ. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე კეთილსინდისიერი და შრომისმოყვარე მუნიციპალური ინჟინერი, რომელსაც კი ოდესმე შეხვედრილვარ და ხშირად მიფიქრია, თუ როგორ ახერხებდა რანე მის სამუშაო დღის განმავლობაში მიღებული შეუძლებელ მოთხოვნებთან გამკლავებას.

როცა სანტექნიკები ან პეტიციის ავტორების წყლის პრობლემებით მის ოფისში მოდიოდნენ, რანე, პირველ რიგში, საჩივრის ეთიკურ ლეგიტიმაციას აფასებდა. ის ჰკითხავდა მომჩივანებს, თუ რაში მდგომარეობდა პრობლემა და სად ცხოვრობდნენ ისინი. სად ქონდათ განათლება მიღებული? თუ ლაპარაკობდნენ გამართულად? მიუხედავად იმისა, რომ ის იყო შრომისმოყვარე მოხელე და მუსლიმების წინააღმდეგ მიკერძოებული არ იყო, მე შევამჩნიე, რომ პრემნაგარიდან მუსლიმების ძალიან მცირე რაოდენობა მოდიოდა მასთან თავიანთი პრობლემებით. როცა ვკითხე, თუ რატომ ხდებოდა ასე, რენე მიმტკიცებდა, რომ პრემნაგარის მცხოვრებლებს წყლის მიწოდების სიმცირე არ აწუხებდათ. „ისინი საკმარის წყალს იღებენ,“ მიპასუხა მან. ნამდვილად ასეა, რანე მართალი იყო. როგორც სალიმის ადრეული დილის სამუშაოებიც ადასტურებს, პრემნაგარი წყლის აღებას ახერხებდა. მაგრამ რატომ უწევდათ მის მაცხოვრებლებს წყლის მისაღებად ასეთი საგულდაგულო ზომების მიღება?

რანეს ვარაუდით, პრემნაგარში პრობლემა დაძველებული ქსელის მდგომარეობაში კი არა, მისი მცხოვრებლების დამოკიდებულებაში გამოიხატებოდა: „ვაჰა სარ უთჰაკე ნაჰი ჯეეტე ჰაი (ისინი არ ცხოვრობენ ღირსეულად (პირდ., თავი მაღლა არ უჭირავთო),“ თქვა მან. ის პრემნაგარის მაცხოვრებლებს ახასიათებდა როგორც ისეთ ადამიანებს, რომლებიც ქალაქის წყლის წესებით არ თამაშობენ. იმის მაგივრად, რომ მათ წყალი ლეგიტიმურად მიეღოთ, ისინი მიღებს უკანონოდ ხვრეტდნენ. მეტიც, ამბობდა ის „მათგან ჩემთან არავინ არ მოდის წყლის მიწოდების სიმცირის შესახებ საჩივრებით.“ ამიტომ, მას მიაჩნდა, რომ მათ პრობლემებზე პასუხის გაცემის შესაძლებლობა მას არ გააჩნდა. რანემ მთხოვა, შემემოწმებინა, მიმართავდნენ თუ არა ბინადრები წყლის პრობლემების მოსაგვარებლად შესაბამის ნაბიჯებს წყლის სამმართველოში.

„ჰკითხე მათ - მოსთხოვე მათ საჩივრების ასლები, შეამოწმე მუშაის მუნიციპალური კორპორაციის ბეჭედი და თარიღი. ეს არავის არ ექნება. ისინი საჩივარს არ წერენ. ისინი არ ჩივიან, რადგან არ იხდიან გადასახადებს. როცა ისინი გადასახადებს არ იხდიან, მათ ყვირილი შეუძლიათ, მაგრამ ჩივილი - არა...“

რანეს კომენტარი მრავლისმეტყველი იყო. ის მზად იყო, დახმარებოდა მხოლოდ იმ მოსახლეებს, ვინც იყო „განათლებული“ და იყო წყლის დეპარტამენტის სინდისიერი მომხმარებელი (იხილეთ Coelho, 2005). პრემნაგარის ბინადრების პრობლემა, მისი ვარაუდით, იყო ის, რომ ისინი სახელმწიფოს ადეკვატური სუბიექტებივით არ იქცეოდნენ. ისინი არ აღნუსხავდნენ თავიანთ საჩივრებს შესაბამისი წესით და ამრიგად რანეს არ შეეძლო მათი დახმარება. როდესაც ის აღწერდა პრემნაგარის ბინადრების პრობლემებს, მან ამიხსნა, რომ მოსახლეები საჩივრებს ვერ დაწერდნენ, რადგან ისინი არ იხდიდნენ გადასახადებს. ნამდვილად, როცა ხალხი მოდიოდა წყლის დეპარტამენტში საჩივრებით, რანე და სხვა მოხელეები, პირველ რიგში, მათ გადახდილი წყლის ქვითარს სთხოვდნენ. თუ მაცხოვრებლები ამ ქვითარს ვერ წარმოადგენდნენ, რანე და სხვები მათ უარს ეუბნებოდნენ პრობლემების მოგვარებაზე მანამ, სანამ მაცხოვრებლები გადასახადს არ გადაიხდიდნენ. ის ფაქტი, რომ მაცხოვრებლები მომსახურების უფლებას მხოლოდ გადასახადების გადახდის შემდეგ იღებდნენ, აჩვენებს იმას, რომ წყლის დეპარტამენტი, მიუხედავად იმისა, რომ ის

საჯარო დაწესებულებაა, მაცხოვრებლებს უყურებს როგორც კლიენტებს და არა მოქალაქეებს,⁷ ის ისეთ ბიუროკრატიულ პროცედურებს ახორციელებს, რომლის მიხედვითაც საჯარო მოხელეებს შეუძლიათ განარჩონ კარგი და ცუდი სუბიექტები, განარჩიონ ის ბინადრები, რომლებსაც მომსახურებაზე წვდომის უფლება აქვთ და ისინი, რომლებსაც ეს არ აქვთ.⁸

თუმცა მაცხოვრებლები ხშირად ჩივიან, რომ მუშაის მუნიციპალური კორპორაცია ხშირად უწერს მათ ქვითრებს იმ წყალზე, რომელიც მათ სინამდვილეში არ მიუღიათ. „მიუხედავად იმისა წყალი მოდის თუ არა, ქვითარი ყოველთვის მოდის.“⁹ სავსე სამუშაოების შესრულებისას მეც შემრული ვიყავი იმით, თუ როგორ იშვიათად იყო წყლის ქვითრები ნამდვილ მოხმარებაზე მიბმული. იმის გამო, რომ ქალაქის წყლის მრიცხველები არ მუშაობს და იმიტომაც, რომ მრიცხველების მკითხველები მთელი დღის გატარებას მრიცხველების წაკითხვაში არ აპირებენ, პრაქტიკაში, მოსახლეებს ხშირად წყლის „სავარაუდო“ ქვითრები მისდით მიუხედავად იმისა, მიეწოდათ თუ არა მათ წყალი.⁹

მაშასადამე, მაშინაც კი, როცა წყლის გაყვანილობები შრება (წნევის ან გაჟონვის პრობლემების გამო), მაცხოვრებლები პრემნაგარში ისევ იღებენ წყლის ქვითრებს. ქვითრებზე ჩვილთან შედარებით (რომელიც მთავრობის ორგანოებში დამქანცველი პროცესია), უფრო მარტივია დავალიანების დაგროვება. მაცხოვრებლებმა შეწყვიტეს ორგანოებში საჩივრებით სიარული და სანაცვლოდ, სხვა საშუალებებს მიმართეს. ინჟინრებიც, თავის მხრივ, თანახმა იყვნენ ამ სიტუაციის შენარჩუნებაზე. იმ უბნებში, სადაც წყლის გადასახადს არ იხდიდნენ, თუ ვინმე წყლის პრობლემაზე დაიჩივებდა, მას პრობლემის მოგვარებაზე უარს ეუბნებოდნენ მანამ, სანამ გადასახადი არ იქნებოდა გადახდილი. ამგვარად, ისეთი ინჟინრებისთვის, როგორც რანეა, „გადაუხდელობა“ წარმოადგენდა მართვის ტექნიკას. ეს არის საშუალება იმისთვის, რომ გამორიცხო სახელმწიფო ყურადღებიდან ისინი, ვინც გადასახადებს არ იხდიან.

თუმცა პრემნაგარის მაცხოვრებლებს წყლის პრობლემები მხოლოდ დაგროვილი ქვითრების გამო არ აქვთ. რადგან დასახლება შედარებით შემადლებულ ადგილას მდებარეობს, წყლის მიწოდება იმ ბინადრებისთვისაც გართულებულია, რომლებიც წყლის გადასახადებს იხდიან. პრემნაგარში წყლის მისაწოდებლად ინჟინრები ვალდებული არიან, დარწმუნდნენ, რომ რეზერვუარში წყლის დონე საკმარისად მაღალია, რათა წყალმა დასახლებისკენ საკმარისი წნევით მივაღწიოს. იმის გამო, რომ რაიონის წყლის სისტემა ბევრგან ჟონავს, ინჟინრებს რთულად შეუძლიათ სისტემაში იმგვარი წნევის შექმნა, რომ პრემნაგარის ბინადრებამდე წყალი მივიდეს. შედეგად, ისეთი მაცხოვრებლები, როგორც არის სალიმი, იძულებულიები არიან, წყალი თავის სახლამდე მაღალი საფასურის სანაცვლოდ მიიყვანოს, ტუმბოების გამოყენებით.

წყლის სისტემების მუშაობა წნევაზეა დამოკიდებული, გამამლიერებელი ტუმბოები კი არალეგალურია, რადგან ისინი სისტემას ჰიდრაულიკურ წნევას კიდევ უფრო მეტად აცლიან. ტუმბოები შერჩევითად მიმართავს წყალს იმათკენ, ვინც მას იყენებს, მათ სანაცვლოდ, ვინც წყალს

⁷ ამგვარად, ეს პრაქტიკა უფრო კომპლექსურს ხდის პრივატიზაციის შესახებ თანამედროვე დებატებს, რომელიც გამოტოვებს იმ საშუალებებს, რითაც კომუნალური საჯარო სამსახურები თავიანთი სამუშაოს ლეგიტიმაციას კერძო მომსახურების ენის გამოყენებით ახდენენ (Baviskar, 2003b; Bakker, 2007).

⁸ ინჟინრებს ასევე შეეძლოთ სხვა „შეზღუდვებზე“ მითითება, რაც დასახლებებში მათ ეფექტურად მუშაობას აძნელებდა, მათ შორის: ქალაქის მასშტაბით წყლის სიმცირე, სხვადასხვა საქალაქო სამუშაოების ნებართვების დიდი ხნის მანძილზე გადაუწყვეტელობა და ასევე არალეგალური გაყვანილობები, რომელიც მოცემულ რაიონში მდგომარეობის გაუმჯობესებას შეუძლებელს ხდიდა.

⁹ ინჟინრებიც ასევე მეუბნებოდნენ, რომ მრიცხველები იშვიათად იკითხებოდა, მაგრამ უუნარობას გამოხატავდნენ, რომ მკითხველებისთვის სამუშაოს შესრულება ეძულებინათ.

არ იყენებს.¹⁰ შედეგად, ინჟინრები ტუმბოების გამოყენებას ხედავენ, როგორც სოციალურს მანკიერებას, ტექნოლოგიას, რომელიც ეფექტურია მესაკუთრისთვის, მაგრამ ასევე მიუთითებს მათ ეგოიზმსა და საჯარო (ან სოციალური) პასუხისმგებლობის ნაკლებობაზე, რომელიც წყლის მოპარვით დასტურდება; ისინი ამას ხედავენ როგორც პრაქტიკას, რომელიც ანსხვავებს ღირსეულ მოსახლეებს მათგან, ვინც „კეთილშობილები“ არ არიან.

მაგალითად, ერთ საღამოს, წყლის მიწოდების გამოწვევების შესახებ გუპტესთან ერთად ვსაუბრობდი. ეს იყო ქალაქის ინჟინერი, რომელიც საჯარო სისტემის იდეის ერთგული იყო. ის არ ხედავდა „მიყრუებული ადგილის მაცხოვრებლებს“ ან „ღარიბებს“ როგორც კატეგორიას, რომელიც არაფრით განსხვავებული არ არის. მისთვის პრემნაგარის მიყრუებული მაცხოვრებლები უფრო ნაკლებად იმსახურებდნენ წყალს, ვიდრე სხვები. 2008 წლის დეკემბერში მან გამოხატა თავისი განწყობილებები არაფორმალური გასაუბრების დროს, რომელიც მის ოფისში გვქონდა. მომყავს ციტატა საველე ჩანაწერებიდან:

„გუპტეს ყელში ჰქონდა ამოსული თავისი წინა საველე ინჟინრის თანამდებობა, სატელეფონო ზარები, რომელზეც მუდმივად უნდა ეპასუხა და სხვადასხვა ადამიანებს (განსაკუთრებით პოლიტიკოსებს) დალაპარაკებოდა. ის ამ ახალ სამსახურს უფრო ერგებოდა, რაც წარმოადგენდა წყლის მიღების ტექნიკური და ფიზიკური მდგომარეობის კონტროლს. მას პრემნაგარში ჩემი ზოგიერთი სამუშაოს შესახებ მოვუყევი. ის ერთი წუთით შეყოვნდა. „პრემნაგარი კარგი რაიონი არ არის“ - განაცხადა. „მეორე მხარეს, ბანჯრეკარ ვადიში, ხალხი კარგია“ - გააგრძელა მან. ჩავეკითხე, თუ რას გულისხმობდა, როცა ამბობდა რომ ეს კარგი რაიონი არ იყო? პრემნაგარში ხალხი „მუმბაის ერთგული არ არის,“ თქვა მან. „ბანჯრეკარ ვადიში მართაი ხალხი ცხოვრობს, მაგრამ არა პრემნაგარში. იქ მუსლიმები წყალს იპარავენ - მიღებს ხვრეტენ და აზიანებენ.“ მაგრამ პრემნაგარში პრობლემის გამომწვევი მიზეზი უკანონო მიერთებები არ იყო; ამ საუბარში წარმოჩინდა პრემნაგარის მაცხოვრებლების წარმოშობის დიდი მნიშვნელობა. როგორც მან მითხრა, პრემნაგარში ხალხი, ძირითადად, უტარ პრადეშიდან არის. „იქ (ურარ პრადეშიში) მათ განა იამუნა აქვთ... მათ წყლის უხვი რაოდენობა ესაჭიროებათ. ამიტომაც ისინი ისეთ ადგილს პოულობენ, სადაც წყალი უხვადაა და მუმბაიში სწორედ ასეთ რაიონებში სახლდებიან.“

გუპტეს სიტყვები ჩემს გონებაში არაკომფორტულად აღიბეჭდა. როცა გუპტემ მუმბაიში მოსახლე სხვადასხვა „თემების“ ჩამოთვლა დაიწყო - ჯაინი, ფარსი, მუსლიმი, გუჯარათი - და ისინი ჰიდრავლიკური პრაქტიკების მიხედვით გაანაწილა, გასაგები გახდა, თუ როგორ მოქმედებს და ყოფს არადიფერენცირებულ პუბლიკას ქალაქის ტექნოკრატიებისთვის ყოველდღიური კულტურულ-პოლიტიკური გაგება „მკვიდრი ადგილის“, რელიგიის და რეგიონის შესახებ (იხილეთ Herzfeld, 1992). რადგან ის მუსლიმებს ახასიათებს, როგორც „მუმბაის არაერთგულეებს“, გუპტე ქალაქში და ქვეყანაში გავრცელებულ პოპულარულ შეხედულებებს ეყრდნობა, რომელსაც ახალი სული შთაბერა იმ ინდუსტრულმა მემარჯვენე ძლიერმა პარტიებმა (მაგალითად, Bharatiya Janata Party and the Shiv Sena), რომლებიც ქალაქის სათავეში იმყოფებიან (Hansen, 1999, 2001, van der veer, 2000). ამ დისკურსებზე დაყრდნობით, გუპტე ყოფს საზოგადოებას როგორც კარგს და ცუდს და ამას აკეთებს არა მხოლოდ უბნების მიხედვით, არამედ მათი წარმოშობის ადგილებით, რელიგიური აფილაციებით თუ ჰიდრავლიკური პრაქტიკებით. მისთვის კონკრეტული ჰიდრავლიკური პრაქტიკები კონკრეტული საზოგადოებების ფუნდამენტურ არსს წარმოადგენს. გუპტემ ნათლად დააფიქსირა, რომ მიღების დახვრეტა ის პრაქტიკა არ არის, რასაც ყველა ღარიბი მიმართავს. ეს დამახასიათებელია მუსლიმებისთვის, განსაკუთრებით მათთვის ვინც უტარ პრადეშიდან და ბიჰარიდან არიან და „მეტი წყალი სჭირდებათ.“

¹⁰ ტუმბოები, რომელიც ახლადმოსახლეებისა და მთელს ქალაქში მაღალი კლასის წარმომადგენლების მიერ გამოიყენება, წარმოადგენს ტექნოლოგიას, რომელიც საჯარო მიღებიდან მეტ წყალს იღებს, ვიდრე იყო შესაძლებელი.

ის მიუთითებდა იმ ორ დასახლებაზე, სადაც მას უმუშავია და ამიტომ გუპტე არ დაყრდნობია ყურმოკრულ ნათქვამს ან ჭორს საკუთარი პოზიციის გასამყარებლად. მან სწრაფად ჩამოთვალა კონკრეტული მიზეზები იმის დასამტკიცებლად, რომ მისი შთაბეჭდილებები არ იყო მცდარი წინასწარ განწყობის ბრალი, მეტიც, ისინი ემყარებოდა გამოცდილებას, განსაკუთრებით, უკანონო გაყვანილობების ირგვლივ. თუმცა, გუპტეს არ უხსენებია, რომ დეპარტამენტმა ბანჯრეკარში ტუმბოები წესრიგში მოიყვანა და ხარვეზების აღმოფხვრისთვის რეგულარული სამუშაოები ტარდებოდა, რათა ეს უბანი გაეხადათ „კეთილშობილი.“ ქსელის ხარვეზების აღმოსაფხვრელი სამუშაოები პრემნაგარში ინიჟინრებს არ ჩაუტარებიათ, რამაც დაუშვა, პრემნაგარი გამხდარიყო „ბინძური.“

ინჟინრებს ბინძურ, მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში მუშაობა არ უყვართ არამხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ამ რაიონებს „ჭუჭყიან, საშიშ უცხოებთან“ აკავშირებენ (Moore, 2008), „ბინძური რაიონები“ ინჟინრებისთვის სამუშაოდ რთული ადგილებია, რადგან მათ სურთ, მათი დრო და ძალისხმევა მიზნობრივად იყოს დახარჯული. მაგალითად, ერთმა ინჟინერმა ამიხსნა, „თუ ჩვენ ბინძურ ადგილებში სამუშაოდ წავალთ, ამ ადგილს არც დაეტყობა, რომ რამე გავაკეთეთ. თან ჩვენი სამუშაო ისეთია, რომ მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში დიდ ხანს ვერ გაძლებს.“ ამგვარად, იმის მაგივრად რომ „თავი აიტკიონ“ და პროექტები ბინძურ და მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში წამოიწყონ, განსაკუთრებით ისეთ ადგილას, როგორც არის პრემნაგარი, მისი აზრით, ჯობია, რომ ყურადღება არ მიაქციონ ამ უბნებს და ფოკუსირდნენ ქალაქის ნაკლებად დასახლებულ, უფრო მეტად ჯენტრიფიცირებულ რაიონებზე, სადაც მათი მუშაობის შედეგი და სარგებელი უფრო ხილვადია.

დასახლებები განსაკუთრებით „გადაჭედულია“ მუშაობაში, რადგან ისინი წარმოადგენენ ქალაქის მომსახურე კლასის¹¹ ძირითად საცხოვრებელს. ქალაქში არ არსებობს ხელმისაწვდომი საცხოვრისი, ამიტომ ხალხს მცირე არჩევანი აქვს და იძულებულია იყიდოს ან იქირაოს ერთოთახიანი უძრავი ქონება ამ დასახლებებში. მუსლიმი მოსახლეების უბნები უფრო „გადაჭედულია“, რადგან მუსლიმებისთვის გაცილებით რთულია, იშოვონ სახლი ქალაქის უმეტეს ნაწილში (Appadurai, 2000). მესაკუთრეებს, დეველოპერებს და კოოპერატიულ სამოსახლო ამხანაგობებს არ სურთ მიაქირაონ, იჯარით მისცენ ან მიყიდონ სახლი მუსლიმ ოჯახებს ქალაქში. ბოლო ორ ათწლეულში ის ადგილები, სადაც მათ ამის ნებას რთავენ, მუსლიმების დასახლების შემდეგ სიდიდით მკვეთრად გაიზარდა (თუმცა ფართობი არ შეცვლილა), მათ სიაშია პრემნაგარიც. ამის შედეგია მჭიდროდ დასახლებულობა, რაც მეტი მარგინალიზაციის საფუძველი ხდება ინჟინრებისთვის, რომლებიც თავს არიდებენ ამ ადგილებში მუშაობას.

რა თქმა უნდა, სალიმის წყლის მოწყობის სისტემა აჩვენებს, რომ მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში განდევნილ მოსახლეობასაც სჭირდება წყალი და შეუძლიათ მისი მიღება. ეს გაყვანილობები პირდაპირ მუნიციპალური მთავრობის მიერ არ არის ადმინისტრირებული და იმართება სხვა ტექნოპოლიტიკური მოხელეების მიერ, რომლებიც მუნიციპალურ სისტემასთან მოუხერხებლად არიან დაკავშირებულნი... პრემნაგარსა თუ სხვა მუსლიმ რაიონებში, მუნიციპალური სისტემის მიერ ნაწარმოები განდევნა ყურდნობა კიდევ და აგრეთვე ზეგავლენას ახდენს ლოკალურ დონეზე სანტექნიკების ძალაუფლებაზე.

სანტექნიკი რაჯი

¹¹ ტერმინს “მომსახურე კლასებს” მე ვიყენებ სახელმწიფოს ლატაკ ადგილებში მცხოვრებთა ფედერაციის პრეზიდენტის, ა. ჯოკინის მიზაძვით. ორგანიზებული ინდუსტრიული სამუშაო ძალის შემცირებით, ინფორმირებული სამუშაო ძალის ზრდით, სამშენებლო ადგილების, სავაჭრო ცენტრებისა და უსაფრთხოების კომპანიების ზრდის გათვალისწინებით, მე ტერმინს - მომსახურე კლასს - ქალაქში სამუშაო ძალის უფრო კარგ დამახასიათებლად მივიჩნევ.

პრემნაგარში, ისევე როგორც ქალაქის სხვა ნაწილებში, სანტექნიკებს, ქალაქის ფორმალური წესების მიხედვით თუ არაფორმალური პრაქტიკებით, მოეთხოვებათ წყლის გაყვანილობებზე პასუხისმგებლობის აღება. ისინი წარმოადგენენ იმას, რასაც ჰანსენი და ვერკააიკი (2009) ურბანულ სპეციალისტებს უწოდებენ: ანუ ესენი არიან შუამავლები, რომლებიც მიყრუებული ადგილის მაცხოვრებლებს ქალაქის სერვისებთან აკავშირებენ. ქალაქის ფორმალური წყლის კანონებით (რომელიც წყლის გაყვანილობების გასაყვანად ითხოვს ლიცენზირებული სანტექნიკების არსებობას) თუ არაფორმალური პრაქტიკებით (რათა მოსახლეთა ნავიგაცია მოახერხონ წყლის წვდომის დიფერენცირებულ რეჟიმში), წყალსადენის ოსტატები მუშაობს წყლის სისტემისთვის, განსაკუთრებით პრემნაგარისთვის, გადამწყვეტ როლს ასრულებენ. მუშაობენ რა მოსახლეთა და ქალაქის ინჟინრებს შორის, მათ აქვთ ქალაქის სისტემის და სისტემის მუშაობის ღრმა ცოდნა და იციან, თუ როგორ უნდა გამოინახონ ქალაქში წყალი. როცა ლეგიტიმური გაყვანილობების საქმე გართულდება (როგორც ეს პრემნაგარში მოხდა), სანტექნიკის ოსტატები საქმეებს თავიანთ თავზე იღებენ.

საველე სამუშაოების დასრულებამდე ვისადილე ქალაქის წყლის გამოცდილ ინჟინრებთან ერთად. ჩვენ კიდევ ერთხელ ვისაუბრეთ პრემნაგარის შესახებ. მათი ვარაუდით, პრემნაგარის პრობლემები უჩვეულო არ იყო. „ქალაქის მასშტაბით, მუსლიმური ბასტიები ყოველთვის პრობლემას წარმოადგენენ,“ თქვა გუპტემ. მას გამოცდილება ქონდა დჰარავშიც, „თუ (არასანქცირებული) მილი ამოღებული იქნება, იქ სანტექნიკები წყლის გაყვანილობის ახალ მილებზე სამგზის შეერთების გარანტიას იძლევიან,“ მითხრა მან. დჰარავში მუშაობის დროს გუპტე და მისი გუნდი ყოველ ხუთშაბათს არალეგალურ მილებს გაყვანილობებიდან იღებდნენ ძალადობის მუქარის მიუხედავად. „სატვირთო ავტომობილი, რომელიც არალეგალურ მილებს ეზიდებოდა, შაქრის ლერწმის გადამტანი სატვირთო მანქანასავით გამოიყურებოდა“, აღნიშნა გუპტემ, არალეგალური მილების რაოდენობაზე მოყოლისას. მილების კონფისკაცია მის დეპარტამენტს ევალებოდა. თუმცა, შემდეგ კვირას მილები თხრილში „კვლავ აღმოჩნდებოდა ხოლმე“, თქვა მან. მართალია გუპტე დასახლების მთავარი ჰიდრავლიკური ინჟინერი იყო, მაგრამ, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ის არ წარმოადგენდა იმ ერთადერთ პირს, რომელიც უბანში მილებს აკონტროლებდა.

ქალაქის ინჟინრებს ძალიან სუსტი კონტროლი აქვთ ქალაქის ბევრი უბნის წყალზე. ინჟინრებს დასახლებებში წყლის გაყვანილობების მართვაში ხშირად სჭირდებათ ადგილობრივი ლიდერებისა და დადების დახმარება (Hansen and Verkaaik, 2009). თუმცა, ამ ფორმის შუამავლობა ერთდროულად შესაძლებელს და ქმედუუნაროს ხდიდა ინჟინრების უფლებამოსილების განხორციელებას იმ მოსახლეობაზე, რომელსაც უნდა მომსახურებოდნენ. ინჟინრებმა მითხრეს, რომ სანტექნიკები ხშირად ფიზიკურად ხელს უშლიან მობინადრეებს ინჟინრებთან მისვლაში არა მხოლოდ თავად დასახლებებში, არამედ მუნიციპალურ ოფისებშიც. გუპტემ ისაუბრა იმაზე, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როცა ვინმეს ლეგალური წყალი სურდა, ის ვერ ახერხებდა გაყვანილობის შესახებ მოთხოვნის დაყენებას. „სანტექნიკები ხალხს ჩვენამდე არ უშვებენ,“ თქვა მან. რანე დაეთანხმა: „ისინი ჩემი ოფისის გარეთ სხედან და როცა პრემნაგარიდან ვინმე ოფისში მოდის, ისინი მას შიგნით, ჩემთან სალაპარაკოდ არ უშვებენ! რისი გაკეთება შემიძლია?“ დაიჩვილა მან. ინჟინრების თქმით, მათ ბევრი არაფრის გაკეთება შეუძლიათ სანტექნიკებისთვის ხელის შესაშლელად, რომლებიც გადამწყვეტ როლს ასრულებენ არა მარტო მაცხოვრებლების სახელმწიფო სერვისებთან დაკავშირებაში, არამედ ასევე სახელმწიფო მოხელეების იმ ადგილობრივებთან დაკავშირებისას, რომლებთანაც მათ უბნებში ინჟინრების მუშაობა სურთ.

რანეს ოფისში პროფესიით სანტექნიკს - რაფიქ-ბჰაის - მაშინ შევხვდი, როცა ის კლიენტისთვის წყლის გაყვანილობაზე უფლების მოსაპოვებლად მოვიდა. რანეს თქმით, რაფიქ-ბჰაი ერთ-ერთი საუკეთესო ინჟინერი იყო პრემნაგარში. მოგვიანებით შეხვედრის დროზე თავად შევუთანხმდი. დასახლებაში სეირნობისას რაფიქ-ბჰაიმ მკითხა, თუ ვიყავი შემფოთებული იმ ადამიანებით, რომლებიც ამ სამეზობლოში დამრწოდნენ. მე ვუთხარი, რომ სამეზობლოს კარგად ვიცნობდი და მარტოც ვყოფილვარ აქ. ის გაკვირვებული ჩანდა. „ქალაქის ბევრ ინჟინერს უჭირს აქ მოსვლა,“ მითხრა მან. „მათ ეშინიათ პრემნაგარში სიარულის, რადგან ეს „საშიში რაიონია.“ ჩემს პასუხზე რაფიქ-ბჰაის გაოცებამ გამოავლინა ის სირთულეები, რომლებიც პრემნაგარში ინჟინრებს

უდგათ. მათ ემინიათ პრემნაგარში თავიანთი სამუშაოს შესასრულებლად წასვლა, ეს ის დასახლებაა, რომელსაც ისე აღიქვამენ როგორც საშიშს და ამიტომ დაცვისთვის თანმხლები პირი სჭირდებათ.

მათგან განსხვავებით, რაფიქ-ბჰაი დასახლებაში ბევრს იცნობდა და სანამ მცირე ტელეფონის მაღაზიის უკანა ოთახამდე მივალწიეთ, გამვლელებს ყოველ წუთას ესალმებოდა. როგორც კი ჩაი მოგვიტანეს, საუბარი წყლის სისტემის შესახებ დავიწყეთ და კონკრეტულად პრემნაგარში არსებულ სირთულეებს შევეხეთ, სადაც ის 40 წლის წინ დაიბადა. „თქვენ განსხვავებას შეამჩნევდით აქაურობასა და მეგჰვადის (მეზობელ დასახლებას) შორის,“ დაიწყო რაფიქ-ბჰაიმ. ვუთხარი, რომ შევამჩნიე: მეგჰვადისთან შედარებით აქ უფრო ცოტაა დასრულებული გზები, მეტი მტვერი და ნაგავია და ნაკლები წესრიგი. ასევე უფრო მეტია წყლის პრობლემები.

რაფიქ-ბჰაისგან გავიგე, რომ წყლის პრობლემა დიდი ხანია არსებობდა. ქსელი წლებია არ განახლებულა, რაიონში მზარდი მოსახლეობის მიუხედავად. „რამგადჰის ხაზი (რომელსაც წყალი შემოჰქონდა დასახლებაში) მეტად გადატვირთულია,“ თქვა მან. ასე რომ, სანაცვლოდ, ხალხს წყალი მთავარი გზიდან დიდი მანძილიდან მოჰქონდათ, იმ მილიდან, რომელიც მეგჰვადის ესაზღვრება. რაფიქ-ბჰაიმ თქვა, რომ ახლახანს დახარჯა 100 000 რუპია (\$2000), როცა პრემნაგარის ბინადართვის მეგჰვადის წყლის მილზე მიერთებით წყლის გაყვანილობას აკეთებდა.

რაფიქ-ბჰაი გადატვირთულ და გაურემონტებელ წყლის მილებს პრემნაგარის წყლის მიწოდების უმთავრეს პრობლემად ასახელებს. ამ არასტაბილურ ხაზებს უფრო ნაკლები ტევადობა აქვს, ვიდრე სხვა ხაზებს, რომლებიც მომიჯნავე დასახლებებს ემსახურება. მაგალითად, მეგჰვადიში, იმ დასახლებაში, რომელიც მხარს უჭერს (და თვითონაც მხარდაჭერილია) შივ სენას პარტიას, საბჭოს წევრებმა და ინჟინრებმა იმუშავეს, რომ უფრო ფართო ხაზები დაეყენებინათ, დაახლოებით 300-დან 450 მმ-მდე, რომელიც 6-8-ჯერ უფრო მეტ წყალს აწვდის უბანს, ვიდრე 150 მმ-იანი ხაზები, რომლებიც პრემნაგარს ემსახურება. პრემნაგარი გამოტოვებული იყო მილების განახლების ამგვარი პროექტებიდან. რაფიქ-ბჰაი აღიარებს, რომ ეს პოლიტიკური საკითხია: „ისინი არ არიან დაინტერესებულნი მუსლიმების ხმებით. ისინი არასდროს მოდიან დასახლებაში პრობლემის სანახავად.“ რადგან საბჭოს წევრები ქალაქის ინჟინრებს ამ დასახლებაში მუშაობას არ აიძულებენ, ისინი წყლის გაყვანილობებს უბნის საზღვრებზე თუ შეაკეთებენ ხოლმე და დარჩენილ საქმეს, რაც ამ ლოკაციებიდან პრემნაგარის სახლებისკენ წყლის გაყვანასა და შენარჩუნებას მოიცავს, რაფიქ-ბჰაისნაირ სანტექნიკებს უტოვებენ.

როცა ჩვენს ინტერვიუს მოვრჩით, რაფიქ-ბჰაიმ მკითხა ჩემს კვლევას თუ შეეძლო შეემსუბუქებინა რაიონის წყლის პრობლემები. ვუთხარი, რომ შეიძლება ასეც მოხდეს, მაგრამ ისიც მივუგე რომ, ჩემი აზრით, პრემნაგარის პრობლემები არასაკმარისი ცოდნის ბრალი არ არის. სინამდვილეში, ინჟინრებმა ბევრი რამ იცოდნენ პრემნაგარის შესახებ. მათ იცოდნენ ვინ იყვნენ სანტექნიკები, რომელი იპარავდა წყალს, რა მდგომარეობაში იყო სახელმწიფო მილები და ისიც იცოდნენ, რომ წყალსაქაჩი ტუმბოების გარეშე დასახლებაში წყლის მიწოდება ძალიან რთული საქმეა. მათ ასევე იცოდნენ ქსელის ხარისხის შესახებ და იმაზეც ჰქონდათ ცოდნა, რომ ეს ქსელი არასაკმარისი იყო პრემნაგარის ამჟამინდელი მოსახლეობისთვის.¹² მათ ეს რაიონი და მისი პრობლემები უბრალოდ მიატოვეს. ის წუთიერად შეჩერდა და შემდეგ დამეთანხმა. პრობლემები პრემნაგარში იმის გამო არ გაჩნდა, რომ ინჟინრებმა მათ შესახებ არ იცოდნენ. „ეს ბჰედ ბჰავ-ის (დისკრიმინაციის) გამოა,“ თქვა მან.

¹² ქალაქის ინჟინრებმა იცოდნენ, რომ პრემნაგარის ფაქტიური მოსახლეობა რამდენიმეჯერ მეტი იყო, ვიდრე ეს 2001 წელს მოსახლეობის ოფიციალურ აღწერაში ჩანდა. მიუხედავად ამისა, უუნარობას იჩენდნენ, შეექმნათ უფრო ფართო ქსელი მისი ფაქტობრივი მოსახლეობისთვის და კალკულაციებში იყენებდნენ რეგისტრირებული პოპულაციის უფრო მცირე რაოდენობას.

იმ დღეს რაფიქ-ბჰაი ოფისში წავიდა წყლის მოთხოვნის აპლიკაციის დასამტკიცებლად. ეს დივალის¹³ დასვენებამდე ერთი დღით ადრე იყო და ოფისში ბევრი არავინ იყო. დამხმარე ინჟინერმა უთხრა, რომ სანტექნიკები ამ დღეს არ უნდა მუშაობდნენ და საქმეებს დივალის შემდეგ მიუბრუნდებოდნენ. თვითონაც სანტექნიკმა, რაფიქ-ბჰაიმ, ეს გაიგო მის რელიგიურ იდენტობაზე მინიმუმად და თავდასხმად. არის კი ის ცუდი სანტექნიკი (ან ცუდი პიროვნება) რადგან ის დივალის წინა დღეს მუშაობს? რადგან ის ინდუსი არ არის? რაფიქ-ბჰაიმ მიუთხრა რომ ის ძალიან განაწყენებული იყო:

„ყოველ ჯერზე ისინი ყველაფერს კიდევ უფრო ართულებენ... დამხმარე ინჟინერმა მკითხა „რატომ უნდა დაგეხმარო?“ ეს ძალიან მეწყინა. რამდენი ხანია მიცნობს და მაინც ამ კითხვას მისვამს? მე მივუგე, „თუ ეს ყველაფერი ფულს ეხება, რამდენია საჭირო - 500? 1000? 2000? ახლავე მითხარი!“ რანე ასეთი არ არის. ფულს იხდი თუ არ იხდი, ის ყოველთვის წესებს მიჰყვება და თავის სამუშაოს ასრულებს. ყველა ასეთი არ არის.“

ინციდენტის გამო ძალიან განაწყენებულმა რაფიქ-ბჰაიმ კარგი ინჟინრები ცუდი ინჟინრებისგან გამოჰყო.¹⁴ რაფიქ-ბჰაი გაბრაზებული იყო დამხმარე ინჟინერზე იმის გამო, რომ მან ის ურთიერთობა არ გაითვალისწინა, რომელიც მათ დივალის წინა დღეს ოფისში მისვლამდე ჰქონდათ. დამხმარე ინჟინერმა მათ შორის არსებული განსხვავებები უფრო წინ დააყენა. არსებობდა რაღაც, რაც წინ უსწრებდა და განსაზღვრავდა მათ ურთიერთობას და ეს განსხვავება მათ რელიგიურ იდენტობაზე იყო დაფუძნებული. ამან გაანაწყენა რაფიქ-ბჰაი. რაფიქ-ბჰაიმ სამართლიანად აღნიშნა, რომ მართა ინდუს სანტექნიკებს ინჟინერი იმავენაირად არ მოექცეოდა. დივალის დღესასწაული ინჟინერისთვის საშუალება გახდა, რაფიქ-ბჰაის წინააღმდეგ დისკრიმინაციის და მონიშნა ის, როგორც „ისეთი ადამიანი,“ რომელიც, დივალის წინა დღით მუშაობით, პატივს არ სცემს ინდურ კულტურასა და სახელმწიფოს.

მუნიციპალური გათიშვა

როგორც ინჟინრები და აქტივისტები თანხმდებიან, მუსლიმი უმრავლესობით დასახლებულ ბასტიებს წყლის რთული პრობლემები აქვთ და წყალს არაკანონიერი გაყვანილობების მეშვეობით იღებენ. პრემნაგარში ბინადრები და ინჟინრები იმაზე კამათობენ, არაკანონიერი წყლის გაყვანილობები სირთულეებზე პასუხია თუ მისი გამომწვევი მიზეზი. ნებისმიერ შემთხვევაში, პრემნაგარის მაცხოვრებლები მუნიციპალური მიწებიდან წყალს, უმეტესად, უკანონო გაყვანილობების საშუალებით იღებენ, რომლებსაც სანტექნიკები უზრუნველყოფენ.

პრემნაგარში სანტექნიკები და მოსახლეები ამბობენ, რომ არაკანონიერი გაყვანილობები რიგი მიზეზების გამო უფრო ურჩევნიათ. უპირველეს ყოვლისა, აღარ ესაჭიროებათ დოკუმენტაციის გრძელი სია და „პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტები,“ რასაც წყლის ფორმალურად გასაყვანად მოითხოვენ. მეორეც, სანტექნიკებს არ სჭირდებათ მუნიციპალური ინჟინრების ფორმალური თანხმობა იმისთვის, რომ უკანონო გაყვანილობები უზრუნველყონ. ამგვარად, ისინი თავს აღწევენ დაბრკოლებებს და დროს ზოგავენ, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ ინჟინრებმა თავიანთი საქმე შეასრულონ. როგორც რაფიქ-ბჰაი აღნიშნავს, არაკანონიერი გაყვანილობებისთვის ნედლი მასალა და სამუშაო ძალა იგივე ღირს, რაც ლეგალური გაყვანილობებისთვისაა საჭირო. მუნიციპალურ სისტემას არ გააჩნია არანაირი სუბსიდირების ან დახმარების პროგრამა, რომ

¹³ სინათლის დღესასწაული, რომელიც ინდუიზმის ერთ-ერთ მთავარ რელიგიურ თარიღს წარმოადგენს (მთარ.)

¹⁴ ქრთამის აღება არ აქცევს ინჟინრებს ცუდებად, თუ ისინი დაკისრებულ სამუშაოს ასრულებენ. რაფიქ-ბჰაი აღიარებდა, რომ სახელმწიფო მოხელეები ხშირად მოქმედებდნენ როგორც საჯარო, ასევე კერძო სფეროს ფარგლებში (Gupta, 1995), ამიტომ აქებდა ისეთ ინჟინრებს, როგორც არის რანე. ისინი უარს არ ამბობდნენ ფულის აღებაზე, თუმცა თავიანთ სამუშაოს ასრულებდნენ.

მოსახლეები ლეგალურად შეუერთდნენ წყლის სისტემას. მოსახლეებიც ხშირად ფულს ზოგავენ ქრთამებსა და გადასახადებზე, რომელიც მათ სისტემასთან დასაკავშირებლად დასჭირდებოდათ. საბოლოოდ, ისინი თავს არიდებენ დაბრკოლებას, საფასური ეხადათ იმ წყლისთვის, რომელსაც ისინი მიიღებდნენ (ან ვერც მიიღებდნენ).

სანტექნიკებმა მითხრეს, რომ ერთადერთი, რაც არალეგალურ გაყვანილობას სჭირდება, ეს არის კომპეტენტური სანტექნიკი, რომელმაც იცის რაიონის განადგურებული ქსელიდან ჯერ კიდევ რომელ ნაწილში არის დარჩენილი წყალი, ოჯახს ჰქონდეს „გამბედაობა“ იმისთვის, რომ გაყვანილობა გააკეთოს და მცირე გადასახადები პოლიციისა და სხვა მოხელეების „სამართავად.“ ეს მიმზიდველი შემოთავაზებაა მათთვის, ვინც იტანჯება წყლის არასაიმედო გაყვანილობებზე წვდომის მოსაპოვებლად სახელმწიფოსთან ურთიერთობის რთული პროცესით, რომელიც სევდიანადაა აღბეჭდილი საშუამავლო დოკუმენტაციებში პრემნაგარის ორი ბინადრის, შალი შაიხის და ისმაილ შარიფის, მიერ. ვციტირებ:

„თუ წყლის 10 პროცენტი ლეგალურია და 90 პროცენტი არა, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი? როცა ჩვენ ჩვეულებრივ პირებს, საზოგადოებას ვკითხეთ, „რატომ არის არალეგალური ქსელები უფრო მეტი, ვიდრე ლეგალური?“ ჩვენ შევიტყვეთ, რომ როცა ქსელი ლეგალური იყო, რამდენიმე წლის განმავლობაში მასში წყალი მოდიოდა... მაგრამ ნელ-ნელა წყლის რაოდენობა შემცირდა იმათ მილებშიც, ვინც საფასურს იხდიდა და იმათ მილებშიც, ვინც არ იხდიდა. იმის გამო, რომ წყალი შემცირდა, ხალხმა ურთიერთობა სანტექნიკებთან დაიჭირა. ერთი რამ არის საინტერესო - არც ერთი ბასტიიდან არავინ წასულა პირდაპირ მუმბაის მუნიციპალურ კორპორაციაში. ისინი მივიდნენ სანტექნიკებთან. და რა გააკეთეს სანტექნიკებმა? მათ თქვეს, რომ რადგან გადასახადის დაფარვის შემდეგაც მილებში წყალი არ არის, ჩვენ წყალს წამოვიღებთ იმ მილიდან, რომელიც ზევრად მეტ წყალს მოგვემთ და თქვენ არ მოგიწევთ გადასახადის გადახდა. ერთხელ გადაიხდი და ეს საკმარისი იქნება. ამგვარად აქ არალეგალურმა პროცესებმა ფეხი უფრო და უფრო მოიკიდა...

აი, რა შედეგი მოაქვს, როცა სანტექნიკები ამას არაკანონიერად აკეთებენ: თუ ისინი ფულს ორი ადამიანისგან იღებენ, ისინი წყალს ამ ორ ადამიანს მიუტანენ. შემდეგ, ნელ-ნელა, სანტექნიკები იცით რას შვრებიან?... ამ ორ ადამიანს შორის მდებარე სახლებში მცხოვრებლებს ეუბნებიან, „გაყვანილობას შემოგიყვან, თუ მომცემ 5000 რუპიას [\$100].“ შემდეგ გაყვანილობა ამ სახლებში იმავე წყლის ხაზიდან შეჰყავთ... მე რე შემდეგ სახლს მიადგებიან და ა.შ.“ (Shaikh, 2008)

ლეგალური გაყვანილობებისგან განსხვავებით, რომელსაც დიდი დრო ესაჭიროება, სანტექნიკები არალეგალურ გაყვანილობებს სწრაფად აკეთებენ. ისინი მიუყვებიან კანონიერ ქსელს, რათა აღმოაჩინონ და გახვრიტონ მილები წყლის მუდმივად ცვლადი დინებისთვის აუცილებელი გადასახადის სანაცვლოდ. რადგანაც ისინი ახალ გაყვანილობებს ძველი კლიენტების ხაზებს ამატებენ, თავდაპირველი გაყვანილობები მალე ამოშრება-ხოლმე, რაც ყოველ ორ წელიწადში მაცხოვრებლებისგან ახალი გაყვანილობების გაკეთებას მოითხოვს იმავე სანტექნიკებთან. შესაბამისად, პრემნაგარის მოსახლეობა არა მხოლოდ დამონტაჟების მაღალ გადასახადებს იხდის, არამედ ისინი ამ გადასახადს განმეორებით იხდიან. „პრემნაგარი კა კჰანან ჰაი (პრემნაგარი სანტექნიკების საგანძურია,“ მითხრა ერთ დღეს სანტექნიკმა. ნამდვილად ასეა, მხოლოდ პრემნაგარი კი არაა სანტექნიკების სიმრავლით მდიდარი, ეს უბანი ასევე საგანძურს წარმოადგენს სანტექნიკებისთვის.

უბნის ლეგალური სტატუსის მიუხედავად, პრემნაგარში დღესდღეისობით გაყვანილობების უმეტესობა არასანქცირებულია. ბინადრები სანტექნიკებზე არიან დამოკიდებულნი იმისთვის, რომ სისტემას ფარულად მიუერთდნენ. რადგანაც სანტექნიკები შუამდგომლობენ ქალაქის მიწების ქსელს, მათ ამ რაიონზე და მის მოსახლეობაზე მნიშვნელოვანი კონტროლი მოიპოვეს. ქალაქის მოხელეებს სხვადასხვა სახის ცოდნა აქვთ მათი აქტივობების შესახებ, მაგრამ ამბობენ, რომ მათი შეჩერება არ შეუძლიათ. ამ ქსელზე არის დამოკიდებული ხმის მიცემის უფლების მქონე

რეგისტრირებული მოსახლეობა, რომელიც 40 000-ს აღემატება და ზედ მიმატებული ამდენივე ბავშვი თუ არარეგისტრირებული მოქალაქე. ოფიციალური პირები გამოხატავენ თავიანთ უმწეობას, როგორც ლეგალური გაყვანილობების დამონტაჟების კუთხით, ასევე, სანდო სისტემის არარსებობის პირობებში, არალეგალური ნაწილების მოხსნის შეუძლებლობას.

მათი უიმედო მდგომარეობა კარგად გამოჩნდა 2007 წლის ბოლოს, როცა ინჟინრებმა სცადეს, ქსელის გაფართოების დროს კანონის აღსრულება. მუშაის მუნიციპალურ კორპორაციაში მნიშვნელოვანი გავლენის დამსახურებით, შივ სენას საბჭოს წევრმა მეგჰვადის მეზობელი დასახლებიდან მხარი დაუჭირა მისი ბინადრებისთვის უფრო დიდი მილსადენის აშენებას. სამუშაოების ჩატარების დროს, საბჭოს წევრმა დაიწინა, რომ ათობით არაკანონიერი გაყვანილობა, რომელიც „თავის“ მიღზე იყო მიერთებული და პრემნაგარის მოსახლეობას ემსახურებოდა, მოჭრილიყო. როცა ინჟინრებმა გაყვანილობების მოჭრა დააპირეს, პრემნაგარის სანტექნიკებმა ფიზიკურად ხელი შეუშალეს მათ ამის განხორციელებაში. აჰმედი, 70 წლის სანტექნიკი მიმდებარე რაიონიდან, ხსნის წინააღმდეგობის არსს:

„ამ ბოლოს დროს (შივ სენას) საბჭოს წევრმა ახლომდებარე რაიონიდან მისი მილიდან ყველა გაყვანილობა ჩაჭრა იმ მიზეზით, რომ ეს უკანონო მიერთებები არისო. ამბობდა, კარგს ვაკეთებო. ამ რაიონის სანტექნიკებმა თქვეს, „კარგი, მაშინ თუ ამ მილს ჩაჭრი, ჩვენ არ მოგცემთ ახალი, 18 ინჩიანი მილის შეკეთების საშუალებას.“ გზა გადათხრილი რჩებოდა მანამ, სანამ ეს პროცესები მოგვარდებოდა. ჩვენ დავემუქრეთ ინჟინრებს, რომ თუ უფრო მეტი მილის ჩაჭრას გაბედავდნენ, ჩვენს რაიონში აღარ გამოჩენილიყვნენ. საბოლოოდ, ჩვენი ჯგუფი ინჟინრებთან ერთად იმ კაცს (საბჭოს წევრს) შეხვდა და ჩვენ კომპრომისზე შევთანხმდით. მათ 6 ინჩიანი მილი გადმოგვცეს და ჩვენ მასზე ლეგალური მილები გავიყვანეთ. მე პირადად მთელი ამ ამბების დროს 3 ინჟინრის სიცოცხლე ვიხსენი.“

მოლაპარაკებები დაახლოებით 3 კვირა გრძელდებოდა. ამ დროის განმავლობაში გზა გადათხრილი რჩებოდა, რაც პირდაპირი მნიშვნელობით ააშკარავებდა ქალაქის ინფრასტრუქტურის სადავო მდგომარეობას. როცა მხარეებმა „კომპრომისს“ მიაღწიეს, ბევრი სხვა გაყვანილობაც გადაკეთდა. ზოგიერთი მათგანი ლეგალური იყო. როგორც სხვა სანტექნიკმა მოგვიანებით მითხრა, ამას ბევრი სხვა არალეგალური მილიც მიუერთდა მას შემდეგ, რაც მოპარული და უფუნქციო წყლის მრიცხველები დააყენეს იმისათვის, რომ ქსელები ლეგალურ გაყვანილობას დამსგავსებოდა. მანამ, სანამ ეს გაყვანილობები ეჭვს გამოიწვევდა, ისინი კარგად ჩაფლეს 2 ფუტი ცემენტისა და ბეტონის საფარის ქვეშ, რათა მუნიციპალური ინჟინრების მზერისგან დაფარულიყო.

ამჟამად, როცა ინჟინრებს შეზღუდული კონტროლი აქვთ დასახლებაში შემოსულ წყალზე, მათ თითქმის არანაირი ძალაუფლება არ გააჩნიათ პრემნაგარის საზღვრებს შიგნით არსებულ წყლის სისტემაზე. ქალაქის ინჟინრები მათი ეფექტურობის წინაშე მდგარ გამოწვევებში რეგრესულ სოციალურ და გარემო პირობებს ასახელებენ, რომელიც მათი უმოქმედობის დროს წარმოიშობა. პრემნაგარის მილების რეაბილიტაციისთვის, გაუმჯობესებისთვის, წნევისა და ტევადობის გაფართოებისთვის თავიანთ უმოქმედობას ისინი ამართლებენ არალეგალურ გაყვანილობებზე მითითებით და აღნიშნავენ, თუ რა ზარალს აყენებს ის ქსელს. სანტექნიკები არსებულ მილებში შეღწევიტა და მათი დახვრეტით, რომელიც მათ კლიენტებს წყალზე მოთხოვნის საშუალებას აძლევს, ისინი „არაკეთილშობილ“ რაიონს საცხოვრებლად ვარგისიანს ხდიან. ამასთან, ამ პრაქტიკებით, სანტექნიკები რაიონს ქალაქის ინჟინრებისთვის სამუშაოდ „არაკეთილშობილ“ უბნადაც აქცევენ. მათმა არალეგალურმა გაყვანილობებმა შეიძლება რაიონის და მისი ხალხის მიმართ ინჟინრების გულგრილობა გაამართლოს და მუდმივად აწარმოოს პრემნაგარი, როგორც განდევნილი რაიონი, რომელიც არსებით ყურადღებას არ იმსახურებს.

პრემნაგარის წყლის მთლიანი საჭიროებები მხოლოდ მუნიციპალური წყლის ქსელიდან ფარული მითვისებებით არ კმაყოფილდება. გარკვეული დროის განმავლობაში, წყლის სირთულეებთან შეჯახების შემდეგ, ბინადრებმა დაიწყეს წყლის მიღება ჭებიდან, რომლებიც აქტიურად გამოიყენებოდა მანამ, სანამ 1970-იან წლებში ქალაქმა უბნებში წყლის მიწოდება არ

დაიწყო. წყალსადენი მიწების გაფართოების შემდეგ ამ ჭების უმეტესობა უფუნქციო და გაურემონტებელი დარჩა. მაგრამ მას შემდეგ, რაც დასახლებაში მუნიციპალური გაყვანილობები გახდა არასაიმედო, ახლა უკვე ბევრი დაუბრუნდა ჭებსა და მიწისქვეშა წყლებს. სხვა შრომებში მე ვაჩვენებ, თუ როგორ აწარმოებენ ჭები პოლიტიკური ძალაუფლების და ქალაქისადმი მიკუთვნებულობის რეჟიმების განსხვავებულ ფორმებს (Anand, 2001; იხილეთ ასევე Giglioli and Swynghedouw, 2008). მიუხედავად ამისა, აქ მინდა ასიფს დავუბრუნდე, რომელმაც სტატიის დასაწყისში იკითხა, შეიძლება თუ არა განვითარება გვეწოდებინა ჭის წყლის სისტემისთვის, რომელიც კანალიზაციით არის დაბინძურებული.

ასიფი იმაზე იყო გაბრაზებული, თუ როგორ აქციეს პრემნაგარის მოსახლეობისათვის „კანალიზაციის წყალი“ უფრო მარტივად ხელმისაწვდომი მუნიციპალური დამუშავებული წყლის სანაცვლოდ. ასიფის მსგავსად, ქალაქის ბევრი მცხოვრები, მათ შორის მუნიციპალური მოხელეები, ხედავს ჭის წყალს, როგორც არასასურველსა და ბინძურს. მიწიდან ამოღებული, უცნობი ქიმიური და ურბანული კანალიზაციით დაბინძურებული, რომელიც არაა სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროცედურების, გასუფთავებისა და პოლიტიკის სუბიექტი. ურბანული ჭებიდან მიღებულ წყალზე მოსახლეობიც და ექსპერტებიც ამტკიცებენ, რომ ის არ არის სასმელად გამოსადეგი და სახიფათო ჯანმრთელობისთვის. ჩემი მიზანი არაა, რომ მათი მტკიცება ეჭვქვეშ დავაყენო (იხილეთ Koos and Bakker, 2008). ჩემთვის მნიშვნელოვანი არის ის, რომ ასიფი და სხვა პრემნაგარის ბინადრები შეურაცხყოფად ღებულობენ იმას, რომ ჭის წყალი უნდა მოიხმარონ, რომელიც, მათ რწმენით, ყველა იმ სიბინძურით დანაგვიანებულია, რომელზე პასუხიც თანამედროვე წყალგაყვანილობა იყო. მათთვის თავად ეს წყალი არის განდევნილი, რომელიც თანამედროვე მოქალაქეობაზე ქვევით დგას. ასიფი ჭებს სოფლურ ცხოვრებასთან აკავშირებს და ამით სიბრაზეს გამოხატავს იმის გამო, რომ იძულებულია, ქალაქში ასეთი წყალი დალიოს. ჭის წყლის დაღვევა, ასიფის ვარაუდით, პირდაპირი მნიშვნელობით არის ტოქსიკური და საშიში ჰიდრავლიკური სუბიექტივაციის ფორმა, რაც მათ სხეულებს მონიშნავს, როგორც ბინძურს, საშიშს და ზიზღის გამომწვევს. ეს ის მატერიალური პრაქტიკაა, რომელიც გამოააშკარავებს იმას, თუ როგორ არ არის მათი სხეულები საკმარისად სუფთა იმისთვის, რომ ქალაქის მოქალაქეებად ჩაითვალოს.

დასკვნა

ანთროპოლოგიის ერთ-ერთ კლასიკურ ტექსტში, სახელად „საჩუქარი,“ მარსელ მოსი (1925) ამტკიცებდა, რომ გაცვლითი სისტემის ყველა ფორმა ეყრდნობა და აწარმოებს თავისებური მორალის მქონე საზოგადოებებს. მუშაობაში და სხვაგანაც ის საშუალებები, რომლითაც ხალხი დღიურ წყლის საჭიროებას მოიპოვებს, ახასიათებს და აწარმოებს იმ გზებს, რისი მეშვეობითაც მოსახლეობა არსებით ურბანულ მოქალაქეობას მოითხოვენ (Holston and Appadurai, 1996). იმის ჩვენებით, თუ რა სირთულეები ექმნებათ მუსლიმ მოსახლეებს მუნიციპალური სისტემიდან წყლის მიღებისას, მე მსურს ყურადღება გავამახვილო იმ პროცესებსა და პრაქტიკებზე, რომლითაც ისინი ყალიბდებიან ქალაქის განდევნილ მოსახლეობად. მუსლიმი მოსახლეობა, ისინიც კი, ვისაც ერთ დროს ოფიციალურად წვდომა ჰქონდა წყალზე, მიიჩნევიან ბინძურებად და „არაკეთილშობილებად“ და არსებითად გამოთიშული არიან ქალაქში წყლის ლეგალურად წვდომისგან. მუნიციპალური წყლის სისტემის მენეჯერებმა, ჰიდრავლიკურმა ინჟინერებმა, პრემნაგარის მიწების, ტუმბოებისა და წყლის პრობლემები ძალიან კარგად იციან და მაინც არ აქცევენ ამას ყურადღებას. განდევნის ზონა, რომელსაც პრემნაგარი წარმოადგენს, უცოდინარობით არ წარმოშობილა, ის წარმოიშვა ქალაქის შოვინისტური კულტურული პოლიტიკით (Baviskar, 2003b), ამ პოლიტიკას ყოველი ჯგუფი ახლოს იცნობს, ამ პოლიტიკასთან ერთად ცხოვრობს და მასში უცხოდ არის მონიშნული.

როგორც ნიუჯენტი აღნიშნავს „ყოველდღიურ ბიუროკრატიულ პრაქტიკაში ჩართვის შესაძლებლობა თავისთავად არის ძალაუფლებრივი ურთიერთობების გამოხატულება და შედეგი“ (Nugent, 2006: 301). ამ სტატიაში ვაჩვენებ, რომ პრემნაგარის მუსლიმ მოსახლეებს არ შეეძლოთ ქალაქის ჰიდრავლიკური სისტემის ექსპერტებთან მიწვდომა, მიღწევა და მათი მუშაობაში ჩართვა. მიუხედავად იმისა, რომ მაცხოვრებლებს დამუშავებული წყალი სურთ, მათ არ შეუძლიათ, თავიანთი თავი ქალაქის წყლის დეპარტამენტისთვის ღირსეულ მოქალაქეებად წარმოაჩინონ. პრემნაგარის ბინადრები მიჩნეულნი არიან, როგორც ბინძურები, უცხოები, არალეგალები და

მუსლიმები, ამიტომ არ ძალუძთ, ქალაქის წყლის დეპარტამენტზე წვდომა ჰქონდეთ როგორც მოქალაქეებს, ან როგორც „პოლიტიკურ საზოგადოებას“ (Chatterjee, 2004). დღეს მათი წყალზე წვდომა ხერხდება საჯარო სისტემაში სანტექნიკების შუამდგომლობით, რომლებსაც რთული და ორაზროვანი ურთიერთობები აქვთ წყლის დეპარტამენტის ინჟინრებთან. რადგან სანტექნიკებს უხარიათ, რომ არ უწევთ პრობლემების განხილვა წყლის დეპარტამენტთან, უბნის მიწებს ისინი თავად მართავენ და მათზე ნებართვებს თავად გასცემენ.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რატომ არ იმსახურებენ პრემნაგარის მოსახლეები ურბანულ ცხოვრებას, ინჟინრები მოსახლეების წყლის მოხმარების პრაქტიკებზე მიუთითებენ. მუმბაის მუნიციპალური მთავრობის წარმომადგენლები და მოხელეები პრემნაგარს ხედავენ, როგორც ადგილს, რომელზე კონტროლსაც ვერ ახერხებენ, თუმცა ამავდროულად მხედველობის არედან გამორჩებათ ის, თუ როგორ თანდათან კარგავდნენ ისინი დასახლებაში კონტროლს ინფრასტრუქტურის განახლებაზე ხელის აღებითა და უგულებელყოფით. განდევნა, რომელიც გამოწვეულია მოხელეების უმოქმედობით, არის განდევნის არსებობის გამართლებების შესაძლებლობა. ერთის მხრივ, გარიყვა არის განდევნის სიმპტომების - ნაკლები სისუფთავისა და ჯანმრთელობის პრობლემების - გამომწვევი, მეორეს მხრივ, ის ასევე სხვა ჰიდრაულიკურ პრაქტიკებს იწვევს, რომლებიც განამტკიცებს და კვლავწარმოებს იმ ხედვას, რომლითაც ინჟინრები უყურებენ პრემნაგარსა და მის ბინადრებს.

იმ განმეორებით პროცესზე ყურადღების გამახვილებით, სადაც მაცხოვრებლები და ინჟინრები პრემნაგარის განდევნილი წყლის მიწოდებას აწარმოებენ, ეს სტატია მიზნად ისახავს, ურბანული ინფრასტრუქტურის კვლევები (Gandy, 2004; 2008; McFarlane, 2008) და მოქალაქეობისა და სახელმწიფოს კვლევები (Ferguson, 1999; Gupta, 1995; Holston, 2008; Mitchell, 1991) დააკავშიროს, რომ გასაგები იყოს, როგორ იწარმოება განდევნა პოსტკოლონიურ ქალაქში საჯარო ინფრასტრუქტურის ყოველდღიური მენეჯმენტისა და ქსელის შემკეთებლების მიერ. მუმბაის/მუმბაიში მიკუთვნებულობის დისკურსების წარმოჩენით, რომელიც არა მხოლოდ კლასობრივ, არამედ რელიგიურ და რეგიონულ ჭრილს მოიცავს, ამ სტატიაში მე მინდოდა მეჩვენებინა, თუ როგორ არის მუმბაის მოსახლეობის დიდი ნაწილი ურბანული მოქალაქეობიდან გამოთიშული ქალაქის წყლის მიწოდების ადმინისტრირების ყოველდღიური პრაქტიკების მეშვეობით.

რადგან, ერთის მხრივ, ქალაქის ჰიდრაულიკური ინფრასტრუქტურა მიკუთვნებული და მორგებულია „სამოქალაქო საზოგადოების“ მდიდარ მაცხოვრებლებზე და მეორეს მხრივ, „პოლიტიკური საზოგადოების“ უმრავლესობაზე, პრემნაგარის მუსლიმი მოსახლეები მიიჩნევიან, როგორც ქალაქის განდევნილი მაცხოვრებლები. იმას არ ვამბობ, რომ განდევნა მედეგი და მყარი პროცესია. როგორც ეს ქალაქის ინჟინრებს, სანტექნიკებსა და პრემნაგარის მოსახლეთა შორის არასტაბილურ მოლაპარაკებებშია ნაჩვენები, განდევნა არასრული და შექცევადი სოციალური კონტროლის ფორმაა, რომელიც თან განმეორებადია და ასევე ახასიათებს არასტაბილურობა და ძალაუფლების გაჯონჯა და შესუსტება.

ბიბლიოგრაფია:

- Anand N (2011) Pressure: The politeness of water supply in Mumbai. *Cultural Anthropology* 26: 542–564.
Appadurai A (2000) Spectral housing and urban cleansing: Notes on a millennial Mumbai. *Public Culture* 12: 627–651.
Bakker K (2007) The ‘commons’ versus the ‘commodity’: Alter-globalization, anti-privatization and the human right to water in the Global South. *Antipode* 39(3): 430–455.
Baviskar A (2003a) Between violence and desire: Space, power, and identity in the making of metropolitan Delhi. *International Social Science Journal* 55: 89–98.
Baviskar A (2003b) For a cultural politics of natural resources. *Economic and Political Weekly* 38: 5051–5055.
Bush R (2009) ‘Soon there will be no-one left to take the corpses to the morgue’: Accumulation and abjection in Ghana’s mining communities. *Resources Policy* 34: 57–63.
Chatterjee P (2004) *The Politics of the Governed: Reflections on Popular Politics in Most of the World*. New York: Columbia University Press.
Chatterjee P (2008) Democracy and economic transformation in India. *Economic and Political Weekly* 43(16): 53–63.

Coelho K (2005) Unstating 'the public': An ethnography of reform in an urban water utility in south India. In: Mosse D (ed.) *The Aid Effect: Giving and Governing in International Development*. London: Pluto Press.

Davis M (2006) *Planet of Slums*. London and New York: Verso.

Desai R (2003) Producing urban informality in Mumbai: Policy, politics, and practice in Jari Mari and Shantiniketan. Master's thesis, University of California Berkeley.

Echanove M and Srivastava R (2009) Taking the slum out of Slumdog. *New York Times*, 21 February.

Ferguson J (1999) Global disconnect: Abjection and the aftermath of modernism. In: *Expectations of Modernity: Myths and Meanings of Urban Life on the Zambian Copperbelt*. Berkeley: University of California Press.

Gandy M (2004) Rethinking urban metabolism: Water, space and the modern city. *City* 8: 363–379.

Gandy M (2008) Landscapes of disaster: Water, modernity, and urban fragmentation in Mumbai. *Environment and Planning A* 40: 108–130.

Ghannam F (2002) *Remaking the Modern: Space, Relocation, and the Politics of Identity in a Global Cairo*. Berkeley: University of California Press.

Giglioli I and Swyngedouw E (2008) Let's drink to the great thirst! Water and the politics of fractured techno-natures in Sicily. *International Journal of Urban and Regional Research* 32: 392–414.

Gupta A (1995) Blurred boundaries – the discourse of corruption, the culture of politics, and the imagined state. *American Ethnologist* 22: 375–402.

Gupta A and Sharma A (2006) Globalization and postcolonial states. *Current Anthropology* 47: 277–307.

Hansen TB (1999) *The Saffron Wave Democracy and Hindu Nationalism in Modern India*. Princeton, NJ: Princeton University Press.

Hansen TB (2001) *Violence in Urban India*. New Delhi: Permanent Black.

Hansen TB and Verkaik O (2009) Introduction – Urban charisma: On everyday mythologies in the city. *Critique of Anthropology* 29: 5–26.

Harvey D (1996) *The Environment of Justice. Justice, Nature and the Geography of Difference*. Malden, MA: Blackwell.

Harvey D (2008) The right to the city. *New Left Review* 53: 23–40.

Herzfeld M (1992) *The Social Production of Indifference*. New York, NY: Berg.

Holston J (2008) *Insurgent Citizenship: Disjunctions of Democracy and Modernity in Brazil*. Princeton, NJ: Princeton University Press.

Holston J and Appadurai A (1996) Cities and citizenship. *Public Culture* 8: 187–204. *Indian Express* (2011) Mumbai MPs sit on funds for development, half unspent. 28 June.

Joyce P (2003) *The Rule of Freedom: Liberalism and the Modern City*. London and New York: Verso.

Kothari M and Contractor N (1996) *Planned Segregation: Riots, Evictions and Dispossession in Jogeshwari East, Mumbai/Bombay, India*. Mumbai: YUVA and COHRE.

Kooy M and Bakker K (2008) Technologies of government: Constituting subjectivities, spaces, and infrastructures in colonial and contemporary Jakarta. *International Journal of Urban and Regional Research* 32: 375–391.

Kristeva J (1982) *Powers of Horror: An Essay on Abjection. (European Perspectives)*. New York: Columbia University Press.

Mauss M (1925) *The Gift*. New York: WW Norton.

McFarlane C (2008) Sanitation in Mumbai's informal settlements: State, 'slum', and infrastructure. *Environment and Planning A* 40: 88–107.

McFarlane C and Rutherford J (2008) Political infrastructures: Governing and experiencing the fabric of the city. *International Journal of Urban and Regional Research* 32: 363–374.

McGregor J (2008) Abject spaces, transnational calculations: Zimbabweans in Britain navigating work, class and the law. *Transactions of the Institute of British Geographers* 33: 466–482.

Mitchell T (1991) The limits of the state: Beyond statist approaches and their critics. *American Political Science Review* 85(1): 77–96.

Moore SA (2008) The politics of garbage in Oaxaca, Mexico. *Society & Natural Resources* 21: 597–610.

Murphy M (2006) *Sick Building Syndrome and the Problem of Uncertainty: Environmental Politics, Technoscience, and Women Workers*. Durham, NC: Duke University Press.

Nugent D (2006) Comments on 'globalization and postcolonial states'. *Current Anthropology* 47: 301–302.

Rose N and Miller P (1992) Political-power beyond the state: Problematics of government. *British Journal of Sociology* 43(2): 173–205.

Roy A (2003) *City Requiem, Calcutta: Gender and the Politics of Poverty*. Minneapolis: University of Minnesota Press.

Scott J (1998) *Seeing Like a State: How Certain Schemes to Improve the Human Condition Have Failed*. New Haven, CT: Yale University Press.

Shaikh S (2008) Pyasa Premnagar. In: Ek Dozen Paani. Available at: www.youtube.com/ekdozenpaani (accessed 20 July 2010). India: Aagaz, Akansha Sewa Sangh, CAMP and Nikhil Anand.

Sharma K (2000) *Rediscovering Dharavi*. New Delhi: Penguin.

Smith N (1996) *The New Urban Frontier: Gentrification and the Revanchist City*. London and New York: Routledge.

Srikrishna Commission (1998) *The Srikrishna Commission Report*. Available at: <http://www.sabrang.com/srikrish/sri%20main.htm> (accessed 19 July 2010). Mumbai: Sabrang Communications.

Star SL (1999) The ethnography of infrastructure. *American Behavioral Scientist* 43: 377–391.

Van der Veer P (2000) Religious nationalism in India and global fundamentalism. In: Guidry J, Kennedy M and Zald M (eds) *Globalizations and Social Movements: Culture Power and the Transnational Public Sphere*. Ann Arbor: University of

Michigan Press, pp.315–336.